კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—31.

ხუთშაბათი
2
აგვისტო
1934 წ.
№ 177 (4033)

დღეს ნომერში

ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ემზადებიან საერთო დემარშისათვის გერმანიის წინააღმდეგ.
— იტალიაში ძლიერდება ანტიგერმანული განწყობილება.
— ანრი ბარბიუსი ომის საფრთხის შესახებ.
— მოსკოვში ჩამოვიდა ლიტვის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი.
გერმანიის გაზეთები შეშფოთებულნი არიან აღმოსავლეთ ევროპის პაქტის იდეის წარმატებით.
— თურქეთის სპორტსმენთა დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში.
— ლენინგრადის მწერალთა შეხვედრა უელსთან.
— განაჩენი ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო-საწნეხო საამქროსათვის ცეცხლწაკიდების საქმის შესახებ.
— მარცვლეულის ჩაბარების ივლისის გეგმა საქართველოში შესრულებულია გადაჭარბებით.

ტვირთზიდვის ზუსტი დაგეგმვისათვის

ამიერ-კავკასიის რკინისგზის ტრანსპორტი [illegible] შედის შემოდგომა-ზამთრის გაძლიერებული ტვირთზიდვის მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში.

კოლმეურნეთა მოსავალი უკვე დაიძრა სოციალისტურ მინდვრებიდან, დამამზადებელ პუნქტებიდან პური პირდაპირ რკინისგზას მიადგა.

ჩვენს ქვეყანაში დიდძალი ხორბალი შემოდის ჩრდილოეთის მოძმე რესპუბლიკებიდან, უმთავრესად, ორი გზით—შავი ზღვით და დერბენტის მიმართულებით.

პირველი ცნობები პურის გადაზიდვის შესახებ ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე ნათლად მოწმობენ, რომ ამ დიდ საქმეს ჩვენი გზა მოუმზადებელი შეხვდა. ამის მიზეზი ის არის, რომ როგორც რკინისგზა ისე კლიენტურა არ მოელოდენ პურის ტვირთების გაძლიერებულ გადაზიდვას ივლისში. მათ ეგონათ, რომ პურის ტვირთი მოაწყდებოდა რკინისგზას უმთავრესად აგვისტო-სექტემბრიდან.

წლობით გამეფებულმა მავნე ტრადიციამ იმდენად დაჩრდილა საქმის სალი მოსაზრებები, რომ კლიენტურამ ანგარიში არ გაუწია წლევანდელ პირობებს. პური გაცილებით ადრე დამწიფდა. მოიმკა და დაიწყო მისი ჩაბარება სახელმწიფოსათვის, ვიდრე ეს „გეგმით" ქონდა გათვალისწინებული ზოგიერთ ბიუროკრატებს.

ამის გამო, ივლისში ა.-კ. რკინის გზას დამამზადებელმა ორგანიზაციებმა წარუდგინეს არარეალური გეგმა ხორბლის გადაზიდვისა. მოთხოვნილი ვაგონების რაოდენობა მარცვლეულის გადაზიდვის მინიმუმსაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

ერთი სიტყვით გზის მუშაობამ ივლისში ცხადყო, რომ კლიენტურის მიერ მოთხოვნილი ვაგონების რაოდენობა არ იყო დასაბუთებული.

26 ივლისს, ა.-კ. რკინის გზის პირველ საექსპლოატაციო განყოფილებაში დაიტვირთა 27 ვაგონი ხორბლეული, ფოთისა და ბათომის ნავთსადგურებში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18,7 ვაგონისა. 27 ივლისს, დაიტვირთა 31 ვაგონი [illegible] 29 ივლისს—45 ვაგონი. 30 ივლისს —41 ხოლო 31 ივლისს —33 ვაგონი პური.

მარტო ფოთის ნავთსადგურში ყოველდღიური ფაქტიური დატვირთვა ზოგიერთ დღეებში ორჯერ-სამჯერ აღემატებოდა სადგურისათვის მიცემულ ნორმას. ასე მაგალითად. 31 ივლისს 11 ვაგონის ნაცვლად დაიტვირთა 31 ვაგონი.

გეგმისა და ფაქტიური დატვირთვის შეუსაბამობას ადგილი ჰქონდა მეორე საექსპლოატაციო განყოფილებაშიც. კასპის ცემენტის ქარხანამ მოთხოვნილი ვაგონების მთელი რაოდენობა ივლისის პირველ ორ დეკადაში გამოიყენა. მესამე დეკადაში კი რკინისგზა იძულებული გახდა მიეცა მისთვის გეგმის გარეშე 85 ვაგონი.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი შეუსაბამობა უხეირო დაგეგმვის პირდაპირი შედეგია. ამაში კი დიდი წილი მიუძღვის თვით კლიენტურას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს და ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭომ 23 მარტის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტისათვის ტვირთზიდვის ზუსტ დაგეგმვას თუ მანამდე ეს დაგეგმვა, ასე ვთქვათ, ტრანსპორტის გარეშე წარმოებდა ტვირთზიდვის მომწესრიგებელ განსაკუთრებულ ორგანოებში და ეგრეთწოდებულ ადგილობრივ - თათბირებზე მარტიდან რკინისგზას მიეცა სრული საშუალება თვით აწარმოოს უშუალოდ მოლაპარაკება კლიენტთან ტვირთის გადაზიდვაზე, მასთან ერთად შეადგინოს და წარუდგინოს გზათა სახალხო კომისარიატს ტვირთზიდვის გეგმა, სადაც საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები მტკიცედ უნდა იქნეს დაცული.

მაგრამ მარტო რკინისგზის ტრანსპორტს როდი შეუძლია ტვირთზიდვის ზუსტი დაგეგმვა. პარტიამ და მთავრობამ ორივე მხარეს თანაბარი პასუხისმგებლობა დააკისრა გადაზიდვის რეალური გეგმის შედგენისათვის.

სწორი დაგეგმვა პირველ რიგში გულისხმობს ყველა არსებულ რეალურ პირობათა გათვალისწინებას ტვირთბრუნვაში. ამ თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ რკინისგზის მთავარი კლიენტი პურის გადაზიდვის საქმეში „ზაგოტზერნო" და მისი ადგილობრივი კანტორები დიდ უუნარობას იჩენს.

ამ ორგანიზაციამ ივლისის გეგმით გათვალისწინებული 33 ვაგონის ნაცვლად ნავთლუღში აითვისა მხოლოდ 24 ვაგონი. ასევე ჩააგდო მან დატვირთვის გეგმა ივლისში.

ამან კი გამოიწვია სადგურის მუშაობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ასეთ ცუდ დაგეგმვაში მარტო „ზაგოტზერნო" როდი შეადგენს გამონაკლისს. ცუდ დაგეგმვაში წილი უდევს მთელ რიგ ფრიად დიდ მნიშვნელობის სამეურნეო ერთეულებს.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ გაზეთის ფურცლებზე რკინისგზის კლიენტების დაუდევარი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ტრანსპორტისადმი. სამწუხაროდ მათ ვერ გამოიყვანეს აქედან სათანადო დასკვნა. „ტფილსოფმრეწვი", მარგარინის ქარხანა, და „ბალმოსტანკონსტრუქტი", „საქკარაქმრეწვი" და სხ. ადგილობრივი სამეურნეო ერთეულები დღემდე არ აქცევენ ყურადღებას ტვირთზიდვის რეალური გეგმის შედგენას.

ეს ორგანიზაციები ხშირად ვარაუდით იჯავშნებენ ვაგონებს. „ეგებ დაგვჭირდესო" — ფიქრობენ ისინი და სრულიად ვერ გრძნობენ თუ რა ზიანს აყენებენ ამით რკინისგზას. ძველი შეხედულება—თითქოს რკინისგზა ვალდებული იყოს გადაზიდოს ყოველგვარი ტვირთი პირველ მოთხოვნილებისთანავე კვლავ სცოცხლობს სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკაში. ერთი სიტყვით, **რეალური გეგმის შედგენას მეორე ხარისხოვან საქმედ თვლიან.**

ეს შეუფასებლობა იწვევს ამიერკავკასიის რკინისგზის პარკის ზრდას, ვაგონების ზედმეტ მოცდენას და ხელს უწყობს ტრანსპორტის მარეგულირებელ ბრძანების დარღვევას.

ის ფაქტი, რომ ამჟამად ამიერკავკასიის რკინისგზაზე ნორმალურ პარკში 600-ზედ მეტი ვაგონი ირიცხება, კლიენტურასაც უყენებს სათანადო ბრალდებას.

ამ გარემოებას ახლავე უნდა გაუწიოს ანგარიში რკინის გზის ტრანსპორტის კლიენტურამ. შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის პერიოდში, სადაც ყოველი ვაგონი სწყვეტს ტვირთზიდვის ბედს, არა რეალური გეგმების შედგენას ადგილი არ უნდა იქნეს.

საჭიროა კლიენტურამ დროზე შეიგნოს ეს გარემოება და რეალური დაგეგმვა აქციოს პრაქტიკულ საქმიანობად. ამას მოითხოვს მისგან პროლეტარული სახელმწიფოს ინტერესები.

ანრი ბარბიუსი ომის საფრთხის შესახებ

ჩავშალოთ მშვიდობიანობის დამრღვევთა დანაშაულებრივი ცდები

(ტელეგრაფით „პრავდას" პარიზელ კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 31 ივლისი. მსოფლიო ომის ოცი წლისთავთან დაკავშირებით, საერთაშორისო მდგომარეობის და ომის საფრთხის წინააღმდეგ მასების ბრძოლის შესახებ ანრი ბარბიუსმა თქვენს კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი:

დიდი ხანია უკვე საერთაშორისო მდგომარეობა არ ყოფილა ისე დაძაბული, როგორც არის ამჟამად. იმპერიალისტური ომის ოცი წლისთავზე. მდგომარეობა მით უფრო გამწვავდა, რომ კაპიტალიზმი ცდილობს შექმნას ორგანიზებული მოძრაობა, რომელიც დაეხმარებოდა მას განემტკიცებინა თავისი შერყეული პოზიციები, გამოენახა გამოსავალი ეკონომიური კრიზისიდან და გაეჩაღებია ახალი ომი. მე მხედველობაში მაქვს ფაშიზმი.

ფაშისტური გერმანია ქმნის აშკარა მუქარას.

ეს საერთაშორისო საშიშროება კიდევ უფრო გაძლიერდა იაპონიის პოლიტიკის შედეგად, რომელიც ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ხარჯზე ექსპანსიის იმპერიალისტურ მიზნებს ისახავს.

ომის საფრთხე უდიდესად რეალურია. საკმარისია წაიკითხოთ ბურჟუაზიული გაზეთები, რომ ამაში დარწმუნდეთ. ჩვენ ძალაც თითქო ომის ატმოსფეროში ვიმყოფებით. 1914 წლიდან არასოდეს არ ყოფილა ისეთი წაქეზება ომისათვის, როგორც ახლაა.

ორი ფაქტორი იბრძვის საერთაშორისო მასშტაბით ომის საფრთხის წინააღმდეგ. პირველი—საბჭოთა კავშირის უდრეკი სამშვიდობო პოლიტიკა და მისი პირდაპირ გმირული ღონისძიებანი უკუაგდოს პროვოკაციები, მეორე—ომის საწინააღმდეგო პროლეტარული მოძრაობა.

საფრანგეთში, სადაც ფაშიზაციის პროცესი ძალიან გაფართოვდა, სადაც იქმნება ფაშისტური ორგანიზაციების კოალიცია, სახელდობრ — „აქსიონ ფრანსეზის", სოლიდარიტე ფრანსეზის", ჟენეს პატრიოტის" და ყოფილ ფრონტელთა ფაშისტური ორგანიზაციების კოალიცია, სადაც მთავრობა ხელს უწყობს ამ ორგანიზაციებს, — მოსახლეობა მკაცრ წინააღმდეგობას უწევს ფაშიზმის სულის ჩამდგმელებს. ჩვენმა მოძრაობამ, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება, მიზნად დაისახა თავი მოუყაროს მთელ ანტი-ფაშისტურ და ომის საწინააღმდეგო მოძრაობას საერთო პლატფორმაზე.

აღსანიშნავ საყურადღებო მომენტს: ჩვენ გვინდა ომსა და ფაშიზმთან ბრძოლაში ჩავაბათ არა მარტო პროლეტარიატი, რომელიც თავისთავად იგულისხმება ამ ბრძოლაში ავანგარდს წარმოადგენს, არამედ მოსახლეობის შუათანა კლასებიც: გლეხები, ხელოსნები, ინტელიგენცია, აგრეთვე შეუკავშირებელი მშრომელები.

უკანასკნელ დღეებში ჩვენმა მოძრაობამ საფრანგეთში ახალ წარმატებებს მიაღწია: კომპარტია და სოციალისტური პარტია შეთანხმდენ ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

დასასრულ, კვლავ უნდა ვთქვა, რომ ძნელია წარმოიდგინოთ უფრო საშიში მდგომარეობა, ვიდრე ახლა შექმნილია საერთაშორისო პოლიტიკის დარგში. მაგრამ ამჟამად გაცილებით მეტი შესაძლებლობა არის, ვიდრე იყო 1914 წელს რომ ჩავშალოთ მშვიდობიანობის დამრღვევთა დანაშაულებრივი ცდები. ახლა არსებობს საბჭოთა კავშირი და მისი ჩინებული პროლეტარიატი, რომელიც სოციალიზმს აშენებს. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს მასების ერთიან ფრონტს შეუძლია გაქარწყლოს ორნაირი საფრთხე—ომის და საფრთხე.

მარცვლეულის ჩაბარების ივლისის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

დამზადებათა კომიტეტის ცნობების მიხედვით სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ივლისის გეგმა საქართველოში შესრულებულია 451265 ფუთის რაოდენობით, რაც შეადგენს ამ გეგმის 187 პროც. ნატურგადასახადი შეტანილია 98174 ფუთი ე. ი. ამავე თვის გეგმის 110,8 პროც. საბჭოთა მეურნეობებმა ივლისის გეგმა შეასრულეს 159 პროცენტით —ჩაბარეს სახელმწიფოს 188675 ფუთი მარცვლეული.

ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ემზადებიან საერთო დემარშისათვის გერმანიის წინააღმდეგ

მზადება დემარში ბერლინში

ბერლინი, 31 ივლისი (ტელეფონით). „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის" პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაძლიერებული საქმიანობის შესახებ. ბარტუ რამოდენიმეჯერ ესაუბრა იტალიის, სამხრეთ სლავიის და რუმინეთის ელჩებს. უეჭველია, რომ საფრანგეთის არაოფიციალური წრეების მიერ გავრცელებული ხმები ავსტრიის საკითხზე დიდი სახელმწიფოების, ე. ი. იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის, აგრეთვე მცირე ანტანტის საერთო დემარშის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. ფიქრობენ, რომ ამ ნაბიჯს გადადგამენ. ვენაში ჯერ კიდევ ამ კვირას.

იმავე კორესპონდენტის ცნობებით, პარიზში კვლავ დაიწყო საფრანგეთ - იტალიის მოლაპარაკება კოლონიურ საკითხებზე. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას კონტაქტი იტალიასთან ავსტრიის საკითხში, ბარტუ, ვითომ, დათანხმდა შეიტანონ ინგლის-იტალიის მოლაპარაკების პროგრამაში ტიროლის საზღვრების გასწორების საკითხი. სექტემბრის დამლევისთვის განზრახულია ბარტუს გამგზავრება რომში (ადს).

ავსტრიის ახალი მთავრობა

ვენა, 30 ივლისი. შესდგა ავსტრიის ახალი მთავრობა. კანცლერი, სამხედრო მინისტრი, განათლების მინისტრი და იუსტიციის მინისტრი—შუშნიგი, ვიცე-კანცლერი და უშიშროების საქმეთა მინისტრი—შტარემბერგი, საგარეო საქმეთა მინისტრი—ბერგერ-ვალდენეგი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ფეი, ფინანსთა მინისტრი — ბურეში, ვაჭრობის მინისტრი — შტოკინგერი, სოციალური უზრუნველყოფის და კოოპერაციის საქმეთა მინისტრი — ნეიშტედტერ-შტიურმერი.

ახალი მთავრობის ყველა წევრი, განათლების საქმეთა სტატსმდივნის პერტნერის გარდა, შედიოდა დოლფუსის მთავრობაში.

მოხდა მხოლოდ ცვლილება იმ მხრით, რომ გაძლიერდა ხეიმვერის გავლენა, რაც გამოიხატა ხეიმვერის ბელადის ბერგერ-ვალდენეგის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნაში. საგრძნობლად გაფართოვდა აგრეთვე შტარემბერგის და ფეის ფუნქციები (ადს).

ახალი კაბინეტი ტყვიამფრქვევების დახმარებით შეიქნა

პარიზი, 31 ივლისი, გაზეთების აზრით, ავსტრიის ახალი მთავრობა შედეგია შტარემბერგსა და შუშნიგს შორის მიღწეული ისეთი მერყევი კომპრომისისა, რომელსაც შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს. გაზეთების სიტყვით, შუშნიგმა კაბინეტი შექმნა ტყვიამფრქვევების დახმარებით. ხეიმვერმა, თითქოს, ულტიმატურად მოითხოვა კანცლერის, ვიცეკანცლერის, სამხედრო მინისტრის და უშიშროების მინისტრის პოსტების დათმობა ხეიმვერისათვის. შუშნიგმა დახმარებისათვის მიმართა კათოლიკურ მებრძოლ ორგანიზაციებს, პოლიციას და არმიას, რომლებმაც საბრძოლო წესით ააგეს ქუჩებში ბარიკადები ხეიმვერის მოსალოდნელი გამოსვლის შემთხვევისათვის. უკანასკნელ მომენტში,—წერს გაზეთი, — შეიარაღებული შეტაკების საფრთხე თავიდან იქნა აცილებული იმის გამო, რომ შტარემბერგი დათანხმდა დაეთმო შუშნიგისათვის კანცლერის პოსტი (ადს).

მდგომარეობა ბერლინის ბირჟაზე

ბერლინი, 30 ივლისი. ახალმა საერთაშორისო გართულებებმა და გერმანიის საგარეო - პოლიტიკური მდგომარეობის შემდგომმა გაუარესებამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ბერლინის ბირჟაზე. საბირჟო გარიგებათა რაოდენობა უკანასკნელ დღეებში მეტისმეტად უმნიშვნელოა. ფასიანი ქაღალდების მყიდველები დიდ სიფრთხილეს იჩენენ, ხოლო მთავარი აქციების კურსი 2-5 პროცენტით დაეცა.

ბერლინზე განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის პრესის განცხადებებმა რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში დამნაშავეთა შესახებ, „პოპოლოდ'იტალიას" განცხადებამ „ნაციონალ - სოციალისტ მკვლელთა და პედერასტთა" შესახებ და სხვ. ყოველივე ამას გერმანული გაზეთები, ავსტრიის ამბებთან დაკავშირებით, იძლევიან უაღრესი აღშფოთების ტონით.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის" აზრით, იტალიის პოზიცია წარმოადგენს „მეტისმეტად უხეშ ჩარევას ავსტრიის საშინაო საქმეში", და მუსოლინი, როგორც ჩანს, ცდილობს მოშორდეს რევიზიონისტულ სახელმწიფოთა ფრონტს (ადს).

დოლფუსის მკვლელის სიკვდილით დასჯა

ვენა, 31 ივლისი. სამხედრო სასამართლომ 25 ივლისს პუტჩის მონაწილეებს პანეტს და გოლცვეტერს, რომელთაც ბრალი ედებოდა ლალატში, ამის გარდა, პანეტს —დოლფუსის მკვლელობაში, მიუსაჯა ჩამოხრჩობა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში (ადს).

მიუნხენის კარნახით

ვენა, 31 ივლისი. ბელგრადის „პოლიტიკა" ლიუბლინიდან იუწყება, რომ იქ 29 ივლისს ავსტრიის ნაციონალ - სოციალისტების კონსპირატიულ მისამართებით მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის დეპეშები: „შესწყვიტეთ ბრძოლა" ანალოგიური მითითებანი მიღებულ იქნა მიუნხენიდან ტელეფონითაც. ამასთან დაკავშირებით პოლიციამ რამდენიმე კაცი დააპატიმრა (ადს).

მზადება მობილიზაციისათვის

ვენა, 30 ივლისი. „ტელეგრაფ ამ მიტაგის" გადმოცემით, იტალიის მთავრობამ აკრძალა საზღვარგარეთ წასასვლელი პასპორტების მიცემა იმ პირებისათვის, რომლებიც შეიძლება გაწვეულ იქნან მობილიზაციის შემთხვევაში (ადს).

საფრანგეთის პრესის კომენტარიები

პარიზი, 30 ივლისი. „ეურნალ დე დება" აღნიშნავს, რომ იტალიის საქციელი აძლიერებს მცირე ანტანტის ეჭვებს, რაც გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ ავსტრიის საზღვარზე იტალიამ თავი მოუყარა 50.000 კაცისაგან შემდგარ ჯარს, არამედ ავსტრიის მთავრობის ახალი შემადგენლობითაც. ამ მთავრობაში, მთავარ როლს ითამაშებს შტარემბერგი, რომელიც მთლიანად მუსოლინის გავლენის ქვეშ იმყოფება.

„კოტიდიენი" წერს, რომ თავის მხრით „საფრანგეთს შარშან იმისთვის კი არ უსესხებია ავსტრიისათვის 300 მილიონი ფრანკი, რომ ნება მისცეს მას აწარმოოს იტალიის მიერ ნაკარნახევი პოლიტიკა" (ადს).

ბულგარეთის გაზეთები სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ

ვენა, 30 ივლისი. ბულგარეთის გაზეთები ბულგარეთის საზოგადოებრივ აზრს სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ, ვინაიდან, როგორც ისინი წერენ, „ავსტრიაში გაჩენილი ხანძარი ადვილად შეიძლება მოედვას ბულგარეთსაც" (ადს).

ანტიგერმანული განწყობილებანი იტალიაში

რომი, 30 ივლისი. ერთ-ერთ დიდ კინოში საზოგადოება მქუხარე პროტესტით შეხვდა იმ კინო-ქრონიკის დემონსტრაციას, რომელშიაც უჩვენებდენ მოიერიშეთა ალლუმს. მცირე რიცხოვან მაყურებლებს, რომლებიც მოითხოვდენ სურათის ჩვენების გაგრძელებას, სცემეს. მეორე კინოში საზოგადოებამ ხელი შეუშალა გერმანული მუსიკის შესრულებას. ბეჭდვითი სიტყვის მასობრივი ორგანოების ტონი განსაკუთრებული სიმკაცრით განირჩევა. იუწყებიან რომ ძლიერ შეირყა გერმანიის ელჩის ჰასელის მდგომარეობა. როგორც ხმები დადის, ელჩმა სახელი გაიტეხა მით, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა რინტელენთან. (ადს).

იტალია - გერმანიის ურთიერთობა დიდად გაუარესდა

ლონდონი, 30 ივლისი. „ტაიმსის" კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ „დოლფუსის მოკვლის ერთ-ერთ შედეგად შეიქნა იტალიასა და გერმანიას შორის ურთიერთობის დიდად გაუარესება, რაც დიდხანს ვერ იქნება თავიდან აცილებული." (ადს)

ბარტუს საუბარი მცირე ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებთან

პარიზი, 31 ივლისი. „ეურნალ დე დება" იუწყება, რომ ბარტუ ესტუმრა რუმინეთის და სამხრეთ სლავიის ელჩებს. გაზეთის ცნობით, ლაპარაკი იყო ავსტრიის ამბებზე. გაზეთის სიტყვით, მცირე ანტანტის სახელმწიფოები ფიქრობენ, რომ ერთერთ შესაძლო ღონისძიებას წარმოადგენს დიდი სახელმწიფოების და მცირე ანტანტის შეთანხმებული გამოსვლა (ადს).

ავსტრიის პუტჩის 500 მონაწილე სამხრეთ-სლავიაში გაიქცა

ვენა, 30 ივლისი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, ავსტრიის პუტჩის მონაწილე, დაახლოებით 500-მდე ნაციონალ-სოციალისტი, რომლებიც სამხრეთ-სლავიაში გაიქცენ, თავმოყრილი არიან ვარაჟდინში.

დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი მარიბორში. მათ თავისუფალი მიმოსვლის უფლება მიეცათ (ადს).

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა

ბერლინი, 31 ივლისი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო იტყობინება:

„ბ-ნი რეიხსპრეზიდენტი, რომელიც რამოდენიმე თვეა დაავადებულია თირკმლების ავადმყოფობით, საგრძნობლად გამოკეთდა ნეიდეკში. მან შეინარჩუნა სრული სულიერი სიახლე და ფიზიკური მხნეობა, ასრულებდა თავის სამსახურობრივ მოვალეობებს და ჯერ კიდევ გუშინ შეეძლო მოხსენების მოსმენა. ცოტაოდენი ფიზიკური სისუსტე, რომელიც რამოდენიმე დღის წინათ თავს იჩენდა ხოლმე, კვლავ განმეორდა და დღეს ღამით საგრძნობლად გაძლიერდა. ფელდმარშალის მოხუცებულობის გამო, საფუძვლიანია სერიოზული შეშფოთება. „რეგულარულად გამოქვეყნდება ცნობები პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ" (ადს).

ბერლინი, 31 ივლისი. ჰინდენბურგის სერიოზულ მდგომარეობასთან დაკავშირებით „დოიჩე ცაიტუნგი" აცხადებს:

„სრულიად ბუნებრივია იმის ფიქრი, თუ ვინ იქნება ჰინდენბურგის შესაძლებელი მემკვიდრე. ვეიმარის პარტიული სახელმწიფო განადგურებულია. გერმანიის ხალხის ბედი და ამით საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა ერთი კაცის ჰიტლერის ხელშია".

გერმანიის საინფორმაციო ბიურო ფიქრობს, რომ „დოიჩე ცაიტუნგი" აკრძალეს 8 დღით ჰინდენბურგის შესაძლებელი მემკვიდრის შესახებ „სრულიად უტაქტო კომენტარიების" გამოქვეყნებისათვის. გაზეთის დღევანდელ ნომერს კონფისკაცია უყვეს (ადს).

ჟორესის მოკვლის წლისთავი

პარიზი, 30 ივლისი. გუშინ, ჟორესის მოკვლის წლისთავზე გაიმართა ფაშიზმის და ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 50 ათასი მშრომელი. ეს დემონსტრაცია პირველად ჩატარდა კომპარტიასა და სოციალისტურ პარტიას შორის მოქმედების მთლიანობის შესახებ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. თუმცა ლათინური კვარტალი, სადაც დემონსტრაცია გაიმართა, წარმოადგენს ფაშისტური ორგანიზაციების ცენტრს, მაგრამ ვერც ერთმა ფაშისტმა ვერ გაბედა ქუჩაში გამოსვლა, რათა ხელი შეეშალა დემონსტრაციისათვის. ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა მთელ რიგ სხვა ქალაქებში (ადს).

საბჭოთა კავშირში

მოსკოვში ჩამოვიდა თურქეთის სპორტსმენთა დელეგაცია

მოსკოვი, 31 ივლისი. 30 ივლისს, დილით ჩამოვიდა თურქეთის სპორტსმენთა დელეგაცია, 50 სპორტსმენი, სახალხო პარტიის სტამბოლის კომიტეტის თავმჯდომარის **ჯევდედ კერიმ-ბეის** მეთაურობით. დელეგაციაში შედიან აგრეთვე თურქეთის სახალხო სახლის წარმომადგენელი **აშირ-ბეი და დიურ ხატი-ბეი**. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა დეპეშათა ანატოლიის სააგენტოს წარმომადგენელი **ნიაზი**. დელეგაციას ფიზკულტურული მოსკოვი გულთბილად შეხვდა. დილითვე თურქი ფეხბურთელები სავარჯიშოდ გაემგზავრენ სტადიონ „დინამოზე" (ადს).

ამხ. ანტიპოვმა მიიღო თურქეთის სპორტსმენთა დელეგაციის მეთაური

მოსკოვი, 31 ივლისი. 31 ივლისს საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. კ. ანტიპოვმა მიიღო თურქეთის სპორტსმენთა დელეგაციის მეთაური — სახალხო პარტიის სტამბოლის კომიტეტის თავმჯდომარე ჯევდედ კერიმ-ბეი და თურქეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული ფევზი-ბეი საელჩოს მოხელეებთან ერთად.

შემდეგ ამხ. ანტიპოვი და ყველა ვინც მიღებას დაესწრო, გაემგზავრენ სტუდენტთა სალამოზე ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალურ ინსტიტუტში.

თურქი სპორტსმენები ჩამოსვლის დღეს დაესწრენ საუწყებათაშორისო შეჯიბრებებს სტადიონ „დინამოზე", ხოლო შემდეგ მათ კატერით გაისეირნეს მდ. მოსკვარეკაზე.

31 ივლისს დილით თურქი სპორტსმენები ვარჯიშობდენ, დღისით ათვალიერებდენ ქალაქს და ეცნობოდენ მოსკოვის ახალ მშენებლობას, ხოლო საღამოს იყვნენ კინო „უდარნიკში" ფილმ „ჩელუსკინის" სანახავად (ადს).

ლენინგრადის მწერლების შეხვედრა უელსთან

ლენინგრადი, 31 ივლისი. მწერალმა ალექსი ტოლსტოიმ ინგლისელი მწერლის გ. ჯ. უელსის პატივსაცემად გამართა სადილი. დაესწრენ მწერლები: კ. ფედინი, მ. კოზაროვი, ს. სემიონოვი, ვ. შიშკოვი; მხატვრული ლიტერატურის ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობის გამგე რაფაილი, პროფესორი ხვერანსკი, კომპოზიტორი შაპორინი, დამსახურებული მსახიობი ქალი შატროვა და სხვ.

ლენინგრადის მწერლებთან საუბრის დროს უელსმა დიდად შეაქო მ. შოლოხოვის ნაწარმოებნი, რომლის რომანმა „წყნარმა დონმა" უელსზე, მისი სიტყვით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დღეს უელსმა თავისი შვილით ინახულა აკადემიკოსი ი. პავლოვი (ადს).

საბჭ. კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც შეჯიბრებას ჩაატარებს ამჟამად მოსკოვში მყოფ თურქეთის ფეხბურთელთა გუნდთან.

განაჩენი ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო - საწნეხო საამქროსათვის ცეცხლისწაკიდების საქმეზე

სვერდლოვსკი, 31 ივლისი. 8 დღეს გრძელდებოდა ერთი მუჭა დივერსანტების ურალის მანქანათ - მშენებელი ქარხნის სამჭედლო-საწნეხო საამქროსათვის ცეცხლწამკიდებელთა გასამართლება. სასამართლო კვლევაძიებამ სავსებით დაადასტურა მავნებლებისათვის წაყენებული ბრალდება. 30 ივლისს, ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვების მოსმენის შემდეგ, სასამართლო ღამის პირველ საათზე გავიდა სათათბიროდ. იმავე დღის საღამოს 9 საათსა და 5 წუთზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

მთავარ ბრალდებულებს — ბალანდინს, კუშმანოვს, სედელევს, პეტრუნს და მახნოს მიესაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით.

ბრალდებულ ფიშევს, ვოლინკოს და მოგილევს მიესაჯათ თვითეულს 10 წლით პატიმრობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბანაკებში მოთავსებით და მთელი პირადი ქონების კონფისკაციით. პაშევსკის მიესაჯა 7 წლით და ტოლჩინს 5 წლით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბანაკებში მოთავსება პირადი ქონების კონფისკაციით. ზოლოტარევს—3 წლით მოთავსება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბანაკებში.

2.000 კაცისაგან შემდგარი აუდიტორია და სასამართლოს შენობასთან თავმოყრილი მშრომელები განაჩენს მქუხარე ტაშით შეხვდენ (ადს).

ჩაის კრეფის ივლისის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

დაფარულია მაისისა და ივნისის დანაკლისი

ჩხოროწყუ, 1 აგვისტო. ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 31 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს.—13.300 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 14.795 კილოგრამი. პირველი ხარისხის ჩაი შეადგენს 91 პროცენტს.

დაფარულია წინა თვეების—მაისისა და ივნისის დანაკლისი. სამი თვის გეგმით (მაისი, ივნისი, ივლისი) უნდა მოგვეკრიფა 35.200 კილოგრამი ჩაი, ფაქტიურად მოკრეფილია 35633 კილო, გეგმა შესრულდა 101 პროც.

ჩაის ფოთლის კრეფას განუწყვეტლივ ვაწარმოებთ.

რაიკომი—ჯიქია
რაიაღმასკომი—რევია

რიონჰესის მშენებელთა მისალმებანი

ამხ. სტალინს

30 ივლისს მოხდა სტალინის სახელობის რიონჰესის—ამიერ-კავკასიაში უმძლავრესი, 70 ათასი ცხენის ძალის მქონე, ჰიდროსადგურის საზეიმო გახსნა. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ყველა 4 აგრეგატი, 17.500 ცხენის ძალისა თითო, რომლებიც შეუფერხებლად მუშაობენ და ენერგიას აწვდიან ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანას, სურამის უღელტეხილის ელექტროფიცირებულ უბანს და საქართველოს მრეწველობას. საქართველოს—რუსეთის იმპერიის ამ ყოფილი კოლონიის — ტერიტორიაზე, სადაც ხელოვნურად აფერხებდენ მრეწველობის განვითარებას და უამრავი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებას, ქვეყანაში, სადაც დევნიდენ ეროვნულ ენას და კულტურის ყოველგვარ განვითარებას, სადაც მენშევიკების ბატონობის დროს უკიდურესი სიღატაკე იყო გამეფებული,—პროლეტარიატის და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის რკინისებური ნებისყოფის მეოხებით შეიქმნა ელექტროფიკაციის გიგანტი—რიონჰესი.

ზაჰესის შემდეგ რიონჰესის დამთავრება, ხრამჰესის მშენებლობის დაწყება, მრეწველობის სწრაფი განვითარება, კულტურის აყვავება—ბრწყინვალედ ადასტურებენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის გარემოება, რომ მთელი სადგური მისი ურთულესი ნაგებობებით და ელექტრომონტაჟით აგებულია ადგილობრივი კადრების მიერ.

რიონჰესის მუშები და ინჟენერ-ტექნიკური ძალები და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მშრომელები სადგურის საზეიმო გახსნის დღეს მხურვალე სალამს უთვლიან კომპარტიის შტაბს—საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს დიდ ბელადს და მასწავლებელს **სტალინს.**

რიონჰესის სამუშაოთა უფროსი და მთავარი ინჟენერი **ჯიქია.**
საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **კორსაველი.**

ამხ. ორჯონიკიძეს

ქუთაისი, 1 აგვისტო. სტალინის სახელობის რიონჰესის საზეიმო ამუშავების დღეს მუშები, ინჟენერ-ტექნიკური მუშაკები და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთა წარმომადგენლები მხურვალე სალამს გითვლიან თქვენ, საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის და მთელი მრეწველობის ღირსეულ ხელმძღვანელს.

თქვენი უნარიანი და მტკიცე ხელმძღვანელობის მეოხებით, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკა ჩამორჩენილი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყნიდან იქმნება მრეწველობის მოწინავე ქვეყანად.

რიონჰესის მუშები და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკები გარწმუნებენ თქვენ, რომ ისინი იწყებენ ახალ სამუშაოებს ჩვენი მრეწველობის განსავითარებლად და განსამტკიცებლად, შემდეგშიც შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს და ჩადგებიან საბჭოების ქვეყნის საუკეთესო მშენებელთა პირველ რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მრეწველობას, რომელიც ასრულებს კომპარტიის და საბჭოთა მთავრობის დიად დავალებებს!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

რიონჰესის სამუშაოთა უფროსი და მთავარი ინჟენერი **ჯიქია**
საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **კორსაველი**

ამხ. ბერიას

სტალინის სახელობის რიონჰესის საზეიმო ამუშავებით გამოწვეული დიდი სიხარულის დღეს, სადგურის ინჟენერ-ტექნიკური მუშაკები და ქუთაისის რაიონის მშრომელები გითვლიან შენ, საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს, მხურვალე ამხანაგურ სალამს.

რიონჰესის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ამიერ-კავკასიის პარტიულ ხელმძღვანელობას და პირადად შენ, რომელიც წვდებოდი ჩვენი მუშაობის ყველა დეტალს და, მთელი რიგი კონკრეტული საკითხების სწრაფად და სწორად გადაწყვეტის მეოხებით, სოციალისტური ტემპებით წინსწევდი ჩვენ მშენებლობას.

ჩვენ არაერთხელ მოგვიმართავს შენთვის მწვავე საჭიროებათა წუთებში და შენგან ყოველთვის ვღებულობდით დახმარებას და მტკიცე, გამჭრიახი და საქმის მცოდნე ხელმძღვანელის რჩევას.

რიონჰესის მუშაკები გარწმუნებენ შენ, რომ ყოველგვარ ახალ სამუშაოზე სადაც ჩვენ პარტია და მთავრობა გაგვაგზავნის ჩვენ პირნათლად და ღირსეულად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ჩვენი მრეწველობის განსავითარებლად.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების შტაბს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, რომელიც ბოლშევიკურად ასრულებს საკავშირო კომუნისტური პარტიის ყველა დავალებას და დიდი ბელადის სტალინის მითითებებს!

რიონჰესის სამუშაოთა უფროსი და მთავარი ინჟენერი **ჯიქია**
საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **კორსაველი**

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოში

სავსებით მომზადებული შევხვდეთ პურის მიღებას

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პურის დამზადების კამპანიისათვის მზადების შესახებ. დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან უმოკლეს ვადებში დაამთავრონ მზადება პურის მისაღებად, სავსებით მოამზადონ დამამზადებელი აპარატი და გააუმჯობესონ მისი მუშაობა.

დამამზადებელი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — დაწესებულ ვადაში დაამთავრონ პურის საწყობების, ელევატორების მშენებლობა, მათი რემონტი, რეკონსტრუქცია და მექანიზაცია. „ზაგოტზერნო" ვალდებულია დაამთავროს პურის ახალი საწყობების მშენებლობა ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის მიერ დამტკიცებული ძირითადი გეგმით უკრაინაში, ყირიმში, აზოვ-შავიზღვის, ჩრდილოეთ - კავკასიის, სტალინგრადის, სარატოვის, შუა ვოლგის, გორკის მხარეებში, ამიერკავკასიაში, კაზაკსტანში, ვორონეჟის, კურსკის, დასავლეთის, მოსკოვის და ჩელიაბინსკის ოლქებში, ბაშკირეთსა და თათართა რესპუბლიკაში — ა. წ. 1 აგვისტოსათვის, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში — 15 აგვისტოსათვის.

ამას გარდა, პურის დამზადების კამპანიის განმავლობაში „ზაგოტზერნოს" საიჯარო წესით უნდა გადაეცეს ყველა ის საწყობი, რომლებიც წინა წლებში გამოყენებული იყო პურის მისაღებად და რომლებიც ეკუთვნის სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, მათ შორის გზათა სახალხო კომისარიატსაც.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პურის დამზადება თავის დროზე იქნას უზრუნველყოფილი ტარით. სახკომსაბჭომ დაავალა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მტკიცე ვადებში გასცეს ტომარტარის, ბრეზენტების, შპაგატის, ძაფის და სხვ. საჭირო რაოდენობა. ამას გარდა, ყველა ორგანიზაცია ვალდებულია 1 აგვისტოსათვის დაფაროს მთელი დავალიანება ტომარტარის დაბრუნების მხრივ და ჩააბაროს იგი „ზაგოტზერნოს".

პურის მიღების დაჩქარების და რიგების აღმოფხვრის მიზნით წინადადება მიეცა „ზაგოტზერნოს" მოამზადოს უფრო დიდი პუნქტები იმისათვის, რომ მათ აგვისტო - ოქტომბრის პერიოდში მიიღონ პური მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

იმ მიზნით, რომ უკეთ იქნას გამოყენებული გამწევი ძალა და ავტო-ტრანსპორტი და მოისპოს პურის ჩამბარებელთა თავმოყრა დამამზადებელ პუნქტებზე, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა პუნქტების და ელევატორების გამგეებთან ერთად უნდა შეადგინონ პურის ჩაბარების ხუთდღიური გრაფიკები და სისტემატიური მეთვალყურეობა გაუწიონ ამ გრაფიკების შესრულებას.

„ზაგოტზერნო" ვალდებულია ყველა დამამზადებელ პუნქტზე შექმნას საჭირო პირობები პურის ჩამბარებელთა მომსახურებისათვის (უზრუნველყოფა გადადუღებული წყლით, და მდუღარე წყლით, გაზეთებით რადიომიმღებთა ორგანიზაცია, ცხენის დასაბმელი და წყალისდასალევინებელი ადგილების მოწყობა და სხვ.). „ცენტროსოიუზი" და საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატი ვალდებული არიან გააუმჯობესონ დუქნების, ფარდულების მუშაობა ყველა დამამზადებელ პუნქტთან და 1.000 პუნქტთან უზრუნველყონ საქმის სანიმუშოდ დაყენება სჩაიებში.

სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მარცვლეულის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სახკომსაბჭომ აუკრძალა უკრაინის, ყირიმის, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის, აზოვ - შავი ზღვის, ჩრდ. - კავკასიის, სტალინგრადის, სარატოვის და შუა- ვოლგის მხარეების, ვორონეჟის და კურსკის ოლქების, კაზაკსტანის (გარდა ყარაგანდის ოლქისა) და შუა აზიის დამამზადებელ პუნქტებს 18 პროცენტზე მეტი ტენიანობის მარცვლეულის მიღება, ხოლო დანარჩენი ოლქების, მხარეების და რესპუბლიკების დამამზადებელ პუნქტებს — 19 პროცენტზე მეტი ტენიანობის მარცვლეულის მიღება.

სახკომსაბჭომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მუქარით აუკრძალა დამამზადებელი პუნქტების გამგეებს მიიღონ პური მიბარებითი ბარათებით ვისგანაც არ უნდა იყოს, აგრეთვე გასცენ პური უგანრიგოდ; პურის უგანრიგოდ ოდნავი გაცემაც კი განხილული იქნება როგორც სოციალისტური საკუთრების დატაცება, ამასთან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული არა მარტო ის პირები, რომლებიც გასცემენ პურს ცენტრალიზებული განრიგების გარეშე, არამედ ისინიც, ვინც გასცემს განკარგულებას პურის უგანრიგოდ ხარჯვის შესახებ.

სარაიონთაშორისო კანტორების და დამამზადებელი პუნქტების გამგეები პასუხისმგებელი არიან პურის სწორად მიღების ორგანიზაციისათვის და ისინი მიცემული იქნებიან სამართალში პურის არაკეთილსინდისიერად მიღებისა და გაცემისათვის, აგრეთვე პურის ჩამბარებელთა მოტყუებისათვის წონასა და ანგარიშში.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო კომისარიატებს და დამამზადებელ ორგანიზაციებს სახკომსაბჭომ მისცა მთელი რიგი ოპერატიული დავალებანი პურის გადასაზიდად ტრანსპორტის მომზადების და პურის ჩაბარების კამპანიის მატერიალური მომარაგების დარგში (ადს).

ტფილისის საქონლის სადგური ანიავებს ტვირთს

საჯარო ვაჭრობით იყიდება დიდძალი ბარგი

კლიენტი რკინისგზას აბარებს ტვირთს იმ პირობით, რომ ეს ტვირთი მან ჩააბაროს იმას, ვის სახელზედაც იგი იგზავნება.

სინამდვილეში კი, როგორც აღმოჩნდა, ამ საქმეში გზაზე იმდენი უმსგავსოებაა, რომ მათი აღმოფხვრა უნდა წარმოადგენდეს ექსპლოატაციის დარგის მუშაკთა პირველხარისხოვან ამოცანას.

ამ დღეებში, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტთან არსებულმა პარტიულ - საბჭოთა კონტროლის ჯგუფმა გამოიკვლია საკითხი—თუ როგორ სწარმოებს ტვირთების გაგზავნა დანიშნულებისამებრ და აღმოაჩინა მთელი რიგი უხეში დამახინჯებანი; ტფილისის საქონლის სადგურში.

გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ სადგურში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ტვირთის მიმღები ყოველდღე დადის ქვითარით ხელში, რომ მიიღოს ცნობა ტვირთის მოსვლის შესახებ. ბიუროში მის ქვითარზე მექანიკურად აკრავენ შტამპს: „ტვირთი მიღებული არ არის". ნამდვილად კი **ტვირთი დიდი ხანია მიღებულია და „მიმღების გამოუცხადებლობის გამო", უკვე გადაეცა სალიკვიდაციო საწყობს გასასყიდად;** ასეთი მაგალითები იძლევიან ბოროტმოქმედებათა ფართო შესაძლებლობას.

აღნიშნულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ბარგის მიმღებნი თვენახევრის განმავლობაში ღებულობდენ ცნობას, რომ „ბარგი არ არის მოსული", ხოლო ამავე დროს მათი ბარგი უკვე გაყიდულია რკინისგზელთა შორის; ასე გაიყიდა ამას წინეთ „შრედერის" პიანინო 1.000 მანეთად, სარკიანი შიფონერი 100 მანეთად, სკივრი საცვლებით და ტანისამოსით 50 მანეთად და სხვ.

გზაზე შემოღებულია ისეთი წესი, როცა ტვირთის მიმღებთ ეგზავნებათ ცნობა ტვირთის მოსვლის შესახებ, მაგრამ რკინისგზა არ ღებულობს ხელწერილებს, რომ უწყება ჩაბარდა დანიშნულებისამებრ. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ, ფოსტა არც თუ ისე წარმატებით მუშაობს.

სადგურზე არ მოიპოვება არც ერთი საქალაქო ტელეფონი, რომლითაც შესაძლებელი იყოს სწრაფათ აცნობო კლიენტს მისი ტვირთის მოსვლა. ამავე დროს ხშირია შემთხვევები, როცა შეუძლებელია არა მარტო ის, რომ შეატყობინო კლიენტს მისი ტვირთის მოსვლა, არამედ შეუძლებელია იმის გამორკვევაც, თუ ვის სახელზეა მოსული ტვირთი. ასეთი ტვირთი პირდაპირ სალიკვიდაციო საწყობში მიდის.

არსებობს წესი, რომლის მიხედვით სატვირთო საბუთები მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ ისეთი სახით, რომ იქ გარკვეულად და სრულად იყოს აღნიშნული ტვირთის მიმღების ვინაობა და გამგზავნის მისამართი. ამას გარდა, ტვირთის შიგნით ჩადებული უნდა იყოს ქაღალდი მიმღების მისამართით, გამგზავნის მისამართით; ეს დაწერილი უნდა იყოს მელნით, ან ქიმიური ფანქრით. მაგრამ ეს ასე როდი ხდება.

ტვირთის მიმღების ვინაობა გაურკვევლად არის აღნიშნული ფურცელზე. ეს იწვევს იმას, რომ სადგურის აგენტებს საშუალება არა აქვთ გამოარკვიონ თუ, სახელდობრ, **ვის ეკუთვნის იგი.** ტფილისის სადგურის საწყობში აწყვია ტვირთი ასეთი მისამართებით: ტფილისი **„ოქდ. 5 ლ. 4 გ."**, ტფილისი „ვ. ი. ც. ე.", ტფილისი. „უზ. აპ. უპ.", **ტფილისი, „ვ. ა. კ. ე."**, ამიერ-კავკასია — **„უჩ"**, ტფილისი, **„ა.-კ. პრ. უპ."** და სხვ. ყველა ჩამოთვლილი მისამართიდან დიდის ვაი-ვაგლახით გახდა შესაძლებელი იმის გამორკვევა, რომ **„უჩ"**—არის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო. **დანარჩენი მისამართები კი ვერ იპოვეს**, ასე, რომ მოსალოდნელია ტვირთის (სარკეები, ზუსტი მექანიკის ხელსაწყოები, დაზგები, წიგნები, სასწავლო ნივთები და სხვ.), გაყიდვა საჯარო ვაჭრობით სალიკვიდაციო საწყობებში.

ხშირად რკინისგზის სამმართველომაც არ იცის რა აწყვია მის საწყობებში.

ტფილისის საქონლის საწყობში სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ 6 შეკვრა ლიტერატურა, მოსული იყო 1933 წლის ნოემბერში. იგი ივლისამდე უძრავად და უპატრონოთ ეწყო. მხოლოდ ახლა გამოირკვა რა ლიტერატურა ეკუთვნის ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს კადრების განყოფილებას. **მიმღებს არ აცნობეს მისი მიღების შესახებ**, მიუხედავად იმისა, რომ მისამართი გარკვეულად იყო დაწერილი.

ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს სამეურნეო მატერიალურ განყოფილების სახელზე მიღებულ იქნა **ორი ყუთი ელექტრო - ხელსაწყო**, რომლებიც **სადგურზე ეწყო მთელი ოთხი თვის განმავლობაში.** ა.-კ. რკინისგზის მე-9 საამშენებლო უბნის უფროსის სახელზე ლენინგრადიდან მიღებული სამი ელექტრომოტორი, განმანაწილებელი ყუთები და იზოლიატორები 1933 წლის 4 ოქტომბრიდან დღემდე საწყობში უძრავად ჰყრია. ამავე დროს კი, **აღნიშნული მასალის და მოწყობილობის უქონლობის გამო, ფერხდება რადიო - სადგურის მოწყობა.**

ტფილისის სადგურში, ყოველ ხუთ დღეში, საჯარო ვაჭრობით იყიდება დიდძალი ტვირთი, რომელიც კლიენტურას არ გამოუსყიდია; ამის შედეგად ტვირთი, რომელსაც იწერენ ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და, რომლის მიღებისგან დამოკიდებულია მათი სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულება, ხელში უვარდება სხვა ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებსაც ეს ტვირთი სრულიადაც არ სჭირდებათ.

მაგალითად, ტრაქტორების ძვირფასი ნაწილები იყიდა „მეტალლომმა", ზუსტი მექანიკის ტრესტის ძვირფასი გეოდეზიური ხელსაწყოები და თვალსაჩინო სასწავლო ნივთები შეიძინა რომელიღაც სხვა ორგანიზაციამ და სხვ.

საჭიროა ამ ბოროტების დაუყოვნებლივი აღმოფხვრა. ამასთან ხელოვნურად არ უნდა შევქმნათ ნიადაგი ქურდობისათვის, მტაცებლობისათვის, კომბინაციებისა და სპეკულიაციისათვის.

კლიენტურის საქმეა ტვირთის დროზე გამოსყიდვა, მაგრამ რკინისგზასაც ევალება აცნობოს ტვირთის მოსვლა კლიენტს.

საჭიროა მოწესრიგდეს საინფორმაციო ბიუროს მუშაობა; საინფორმაციო ბიუროში სამუშაოდ უნდა გაიგზავნონ შემოწმებული მუშაკები რომლებიც მექანიკურად კი არ უნდა აკრავდენ ქვითრებზე შტამპს—„ტვირთი არ არის მიღებული",—არამედ **ნამდვილად ამოწმებდენ ტვირთის მიღებას.**

ერთი სიტყვით, ეს ფრონტი უნდა გამოსწორდეს და ტვირთი უნდა მივიდეს დანიშნულებისამებრ.

ს. კოტჩენკო.

ბამბა

გავსწმინდოთ ბამბა სარეველა ბალახებისაგან

(ყარაია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელ ხანებში ყარაიას რაიონმა ნაწილობრივ გამოასწორა ჩამორჩენა ბამბის ნათესების დამუშავებაში. რაიონის პასუხისმგებელი ამხანაგების მიმაგრებამ გარკვეულ კოლმეურნეობებზე და დახმარების გაძლიერებამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

მაგალითად, სოფ. კარატაპას ამხ. **ბერიას სახ. კოლმეურნეობამ** (თავმჯდომარე ამხ. **გახან მამედოვი**) ბამბის ნათესების მეოთხე თოხნა 23 ივლისს დაამთავრა, **გეგმით გათვალისწინებულ 3 კულტივაციის ნაცვლად, ჩაატარა 5 კულტივაცია, ნათესები ორჯერ ვადაზე მორწყა.**

ბამბას აქ საუკეთესო პირი უჩანს.

— გეგმით ერთი ჰექტარიდან სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ საშუალოდ 6 ცენტნერი ბამბა, იმედი მაქვს 8 ცენტნერზე მეტი ბამბა მივიღოთო — გაბედულად აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. მამედოვი.

ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებამ, შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, აღრიცხვის მოწესრიგებამ და ბრიგადების შიგნით რგოლების გარკვეულ ნაკვეთებზე მიმაგრებამ უზრუნველყო ბერიას სახ. კოლმეურნეობაში ბამბის ნათესების კარგად მოვლა.

ნათესები კარგად არის მოვლილი აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის, ვოროშილოვის და ტელმანის სახ. კოლმეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეობა „ისკრაში".

მაგრამ ამით ის არ გვინდა ვთქვათ, თითქოს ყარაიას რაიონში ბამბის ნათესები ყველგან კარგ მდგომარეობაშია, — არა. საერთოდ რაიონი მაინც ჩამორჩენილია. ამას მოწმობს რაიმიწგანის 25 ივლისის ოფიციალური ცნობები. მაგ., აღნიშნულ რიცხვისათვის 2097 ჰექტარი ბამბის ნათესიდან მესამედ გათოხნილი იყო 1931,2 ჰექტარი, ეს იმ დროს, როცა ამ სამუშაოს დამთავრების ვადა 1 ივლისს ამოიწურა. მეოთხე თოხნა 15 ივლისს უნდა დამთავრებულიყო, ფაქტიურად 25 ივლისისთვის გეგმის შესრულება 71 პროცენტს არ აღემატებოდა (გათოხნილია 1480 ჰექტ.), მეხუთე თოხნა რაიონში შერჩევით წარმოებს.

უარესი მდგომარეობაა კულტივაციის ჩატარების მხრივ. მთელს რაიონში მეორე კულტივაციის გეგმა 25 ივლისისათვის შესრულებული იყო 85 პროცენტით (დამთავრების ვადა 1 ივლისი), ხოლო მესამე კულტივაციის — 37,1 პროც. (ვადა 15 ივლისს გავიდა).

სოფ. კარატაპას ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გასან მამედოვი

როგორც ვხედავთ, ბამბის ნათესების დამუშავების ყველა ვადა დარღვეულია.

საფრთხე მოელის ყარაიას საბჭოთა მეურნეობის ნათესებს. აქ მეოთხე თოხნა 25 ივლისისათვისაც კი არ იყო დაწყებული (მეურნეობას ბამბის ნათესი 161 ჰექტარზე აქვს). მთავარი მიზეზი მუშა - ხელის ნაკლებობაა. მიუხედავად იმისა, რომ რაიონი ეხმარება მუშა - ხელით, მაინც მეურნეობის დირექცია გარღვევას თავს ვერ აღწევს. მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, ბამბის გასათავისუფლებლად სარეველა ბალახებისაგან. მუშა - ხელის გეგმიანად შეგროვება და მათი მოხერხებული გამოყენება — აი რა წყვეტს ახლა საქმეს.

რაიონში ერთპიროვნულ მეურნეობებს ბამბის ნათესების მეოთხე თოხნის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 92,4 პროცენტით, კოლმეურნეობებს კი — 72 პროც.

ბამბის დამუშავებაში ძალიან ჩამორჩა სოფ. **კარატაპას** კოლმეურნეობა „ფუგარა", რომელსაც 27 ივლისისათვის 102 ჰექტარიდან მეოთხედ გათოხნილი მხოლოდ 56 ჰექტარი ჰქონდა. უფრო მეტი, კოლმეურნეობას ზოგ ნაკვეთზე მთლიანად არ დაუმთავრებია მესამე თოხნაც კი, რომლის ვადა 1 ივლისს გავიდა.

ამ ჩამორჩენის მიზეზია შრომის დისციპლინის დაცემა, შრომის მოუწესრიგებლობა და უუნარო ხელმძღვანელობა. მაგ. უკანასკნელ დროს ამ კოლმეურნეობაში ყოველდღიურად აცდენს 6—8 კაცი. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. **მიხაილოვკას** ამხ. ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში, სადაც ბამბის სამუშაოებზე ყველა წევრი არ გადის. მაგ.: კოლმეურნე **კოსტა ეფიმოვი** 5 დღეა არ გასულა სამუშაოდ, **ამ. ლიტვინოვი** 15—17 ივლისს სრულიად არ გამოცხადებულა კოლმეურნეობაში, იგი თავის პირად საქმეზე მუშაობდა; **ოსან იუხანევა** ორი დღე გაცდა, ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვათ — ზემოხსენებულ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა არაფრად ვარგა. ამიტომაა, რომ ეს კოლმეურნეობა დროზე ვერ ასრულებს ბამბის სამუშაოების გეგმას.

ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ლენინის სახ. კოლმეურნეობაში რომლის ბამბის ნაწილი სარეველა ბალახითაა დაფარული.

მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად მოუთმენელია. საჭიროა ყარაიას რაიონის პარტიულმა კომიტეტმა და სამ. - სატ. სადგურის **პოლიტგანყოფილებამ** კიდევ უფრო გააძლიერონ - ადგილებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა და ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ თვითეულ სას. საბჭოში და კოლმეურნეობაში ერთ ჰექტარზე მივიღოთ არა ნაკლებ 6 ცენტნერი ბამბა.

ბამბის ნათესების დროზე მორწყვა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება— არცერთი წუთითაც არ უნდა იქნას დავიწყებული.

ვ. მთვრალაშვილი.

ლამაზი, იაფი და კარგი ხარისხის ავეჯისათვის

შეიძლება ითქვას, რომ მარელისის და ტფილისის ავეჯეულობის ფაბრიკები ვერ უპასუხებენ მათ წინაშე მდგარ საწარმოო ამოცანებს. ისინი სისტემატიურად ვერ ასრულებენ ავეჯის გამოშვების გეგმას, გამოშვებული პროდუქცია ვერ არის კარგი ხარისხის. მაგალითისათვის ავიღოთ მარელისის ფაბრიკა. აქ თითქმის ყველა პროცესები მექანიზებულია, ნედლეულმა რომ დასრულებული სახე მიიღოს, უნდა გაიაროს ოცდახუთამდე სხვადასხვა პროცესი. ფაბრიკა ძირითადად მუშაობს სკამების გამოშვებაზე. მან პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 66,6 პროც. არც მეორე კვარტალში მომხდარა რაიმე სერიოზული გარდატეხა: გეგმით გათვალისწინებული 40.300 ცალი სკამის ნაცვლად გამოუშვა 31.542, ანუ 78,3 პროც. ფაბრიკას პირველ ნახევარ წელს უნდა დაემზადებია სულ 81.500 ცალი სკამი, ფაქტიურად დაამზადა მხოლოდ 58 518. გეგმის 71,8 პროც.

ფაბრიკაში ცალკე საამქროების მუშაობა არ არის მოწესრიგებული. მხარშავი, მღუნავი და საგრები საამქროები ვერ იძლევენ კარგი ხარისხის ნახევარფაბრიკატს გამშრობ და ამწყობ საამქროებს. მხარშავ საამქროში, დაცული არ არის რეჟიმი. ამის გამო ნახევარფაბრიკატი კარგად მოხარშული ვერ გამოდის, იგი მოღუნვის დროს ტყდება და საბოლოო ანგარიშით გადადის მეორე ხარისხის პროდუქციაში, სკამის ცალკე ნაწილები აწყობის დროს, შრომის პროცესის ტექნიკურად მოუწყობლობის გამო, იფხაჭნება. ყველაფერი ეს მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ფაბრიკისთვის მიწოდებული ნედლეულის (აწოდებს მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ხარაგოულის სატყეო სამრეწველო მეურნეობა) ხარისხი დაბალია, არ შეეფერება აგრეთვე ტექნიკურ პირობებს. ხარაგოულის სატყეო სამრეწველო მეურნეობას ფაბრიკისთვის გეგმით უნდა მიეცა 1-ლ ნახევარწელში 850 კუბ.-მეტრი საფანერო ნედლეული, ფაქტიურად მისცა მხოლოდ 147 კუბ.-მეტრი, რაც შეადგენს 17 პროც. ხოლო მცხეთის სახერხმა ქარხანამ ამავე პერიოდისათვის ნედლეულის მიწოდების გეგმა შეასრულა 30 პროც. ყველაფერი ეს—ნედლეულის თავის დროზე მოუწოდებლობა და მისი დაბალი ხარისხი, მუშების დაბალი კვალიფიკაცია და საერთოდ ტექნოლოგიური პროცესების სუსტი ორგანიზაცია დაბლა სწევს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ამაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მეორე ხარისხის პროდუქციას ყიდიან იმ ფასებში, რა ფასებშიც პირველი ხარისხისას, რაც აშკარა დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, „კომუნისტმა" ეს ფაქტი ამხილა თავის ფურცლებზე ჯერ კიდევ მაისში, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ჯერ-ჯერობით არავითარ ღონისძიება არ მიუღიათ.

ტფილისის ავეჯის ფაბრიკაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მეორე ხარისხის და წუნდებული პროდუქცია საკმაოდ დიდი იყო. ამჟამად წუნდებული პროდუქცია მაქსიმალურად შემცირებულია, მაგრამ მეორე ხარისხის პროდუქციის რაოდენობა არ შემცირებულა პირიქით, გაიზარდა კიდეც. პირველ ნახევარწლის გეგმა ტანისამოსის შკაფების გამოშვების დარგში შესრულდა 133,6 პროც., ბუფეტის შკაფების—122,7 პროც., სასადილო მაგიდების—27,5 პროც., საწერი მაგიდების — 50,9 პროც., შირმების—61,6 პროც., ტაბურეტების—332,2 პროც. და ა.შ. მეორე ხარისხის პროდუქცია, მეორე კვარტალში გამოშვებულ საერთო პროდუქციასთან შეფარდებით, იძლევა ასეთ სურათს: მეორე ხარისხის ტანისამოსის შკაფები გამოშვებულია 11 პროც., ბუფეტის შკაფები--43,5 პროც., სასადილო მაგიდები—17,6 პროც., საწერი მაგიდები--28,4 პროც., შირმები—27 პროც. და ა.შ.

ფაბრიკაში მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლა სათანადოდ ჯერ კიდევ არ გაშლილა. მუშების კვალიფიკაცია დაბალია, ნაკლებად ზრუნავენ აგრეთვე მათი ცოდნის ამაღლებაზე, რაციონალურად არ იყენებენ მასალებს, ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ნედლეული კარგი ხარისხისაა, პროდუქცია კი მაინც მდარე ხარისხის გამოდის. ამას წინათ მუშებმა ამხ. ავეტისოვმა და აიდინიანმა, რომლებიც ფანერის გადაკვრაზე მუშაობენ, იხმარეს უვარგისი წებო და ავეჯი გააფუჭეს, სრულიად უვარგისია აგრეთვე ავეჯის უჯრების გასაღებები, ისინი ადრე უვარგისი ხდებიან, დაცული არ არის აგრეთვე ავეჯის სილამაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ავეჯი, სხვა ფაბრიკებისა და არტელების მიერ გამოშვებულ პროდუქციასთან შედარებით, იაფია; ასე მაგ. ტანისამოსის შკაფი იყიდება 285 მან. ხოლო სარეწაო კოოპერაციის არტელები (მაგ. „ხის ნაწარმი") ასეთივე ტიპის შკაფს ყიდიან 500 მან., ავეჯის სიაფე მოქმედებს მომხმარებელზე, მყიდველებიც დიდი რაოდენობით მოიპოვება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენი ქვეყნის მუშებსა და კოლმეურნეებს უნდა ჰქონდეთ კარგი ხარისხის ლამაზი და იაფი ავეჯი. ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის დიდი ბრძოლის წარმოება მოუხდებათ სატყეო მრეწველობის და სატყეო - სარეწაო კოოპერაციის მუშაკებს. ამ დავალების კარგად შესრულება მათი პირდაპირი მოვალეობაა.

ვალ. გაბუნია.

წუნის მიზეზია მუშაობის ცუდი ორგანიზაცია

(ტფილისი, ფაბრიკა მკერავი 2)

ფაბრიკა მკერავი № 2 ცუდად მუშაობს. საწარმოო - საფინანსო გეგმები სისტემატიურად არ სრულდება. მიმდინარე წლის 6 თვეში გეგმით გათვალისწინებულ 4.800.116 მანეთის ნაცვლად გამოუშვა მხოლოდ 4.370.356 მანეთის პროდუქცია, რაც დავალების 91 პროცენტს შეადგენს. **„ეს გარღვევა არ წარმოადგენს ისეთი ობიექტური მიზეზის შედეგს, როგორიცაა ნედლეულის ნაკლებობა და სხვ. (ნედლეული საკმაო რაოდენობით იყო), არამედ მთლიანად მუშაობის ცუდი ორგანიზაციითა გამოწვეული. სამკერვალო მანქანებზე კონვეიერებისა და აგრეგატების გაცდენა მეტად დიდია. დიდია მუშათა დენადობა"** — ასე ამბობდა ამხ. ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე სამკერვალო ფაბრიკების ჩამორჩენის მიზეზებზე. ამ მითითების შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფაბრიკა მკერავ № 2-ზე ეს სიტყვები დღესაც ზედგამოჭრილია. ფაბრიკის სამკუთხედს ჯერ კიდევ ვერ გამოუყვანია ის დასკვნები, რომელზედაც მიუთითებდა ამხ. ბერია. კერძოდ, ფაბრიკის ხელმძღვანელების მიერ თითქმის არაფერი გაკეთებულა მუშათა დენადობის მოსპობისათვის. გასული 6 თვის განმავლობაში ფაბრიკაში მიღებულ იქნა 381 მუშა, ხოლო წავიდა 569. მუშათა ასეთი სარეკორდო დენადობის მიზეზია ის, რომ ფაბრიკამ ვერ შესძლო მუშების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ბინებით. ამასთანავე პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, სათანადო აღმზრდელობით მუშაობას არ ატარებენ ახლადმოსულ მუშებს შორის ფაბრიკაში, სადაც 1200-მდე მუშაა, ფაბკომს ერთი კულტმომუშავეც არ ყავს. ფაბკომის თავმჯდომარე ამხ **უსტინოვა**, იმის ნაცვლად, რომ ნამდვილად მოჰკიდოს ხელი კულტურულ - მასობრივ მუშაობას, გულდამშვიდებით აცხადებს: — ორ თვენახევარზე მეტია, რაც კულტმომუშავეს ვეძებთ, მაგრამ ვერ ვიშოვეთო". პარტკომის მდივანი ამხ **ხერუმოვიც** დაახლოვებით ასეთივე აზრისაა.

კიდევ მეტი, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები „ობიექტიურ" მიზეზებს ებღაუჭებიან და ცდილობენ მუშათა დენადობა ზაფხულს მიაწერონ ისინი აცხადებენ — ახლა ზაფხულია და მუშები მიდი-მოდიანო ნამდვილად კი ფაბრიკის ორგანიზაციები მუშათა ცხოვრების „წვრილმანებს" არ იცნობენ და ნაკლებად ზრუნავენ მუშათა ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

რამდენიმე სიტყვა ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. პირველ კვარტალში წუნი გამოშვებული პროდუქციის 1,4 პრ. შეადგენდა, მეორე კვარტალში — 2,8 პროც., ხოლო ივნისიდან იწყება წუნის გამოშვების ზრდა. ივნისში წუნი 4 პროცენტამდე ავიდა, ივლისში კი წუნი უფრო გაიზარდა და გამოშვებულ თეთრეულ პროდუქციაზე იგი აღწევს 17,4 პროცენტამდე.

რა არის წუნის ასე დიდი რაოდენობის მიზეზი? წუნის მიზეზია ფაბრიკის სამკუთხედის სუსტი და მოუქნელი ხელმძღვანელობა. ხარისხისათვის ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე — საამქროში — სუსტია შრომის დისციპლინა. მესამე საამქროს გამგე ამხ. ჩახმახსაზოვი აცხადებს: ზოგჯერ მუშა [illegible] გრილად ეკიდება, მაქმანს არ ხიბჯავს და [illegible] მუშაობს. ამის გამო ხშირია შემთხვევა, როცა ზეთი ესხმება პროდუქციას და გამოდის წუნიო. კაცი, რომელიც ასე მუშაობს, უნდა დაისაჯოს, მაგრამ აქ, ამ ფაბრიკაში, ვერ მოუხერხებიათ გაიგონ ვის მიერაა გაკეთებული წუნი.

წუნის ერთერთი მთავარი მიზეზია მუშათა დაბალი კვალიფიკაცია, რომლის ამაღლებაზე ძალიან ნაკლებად ზრუნავენ. ფაბრიკის მუშათა უმრავლესობა ჩაბმული არ არის ტექნიკური მინიმუმის წრეებში.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფაბრიკას არ ჰქონდეს წუნის მოსპობის საშუალება. ეს დადასტურდა თებერვალში. ამ თვეს ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო „კომუნისტის" გამსვლელმა რედაქციამ, რომელმაც ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ფართოდ გაშალა მუშაობა მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა და ამხ. სტალინის მიერ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მოცემულ მითითებათა რეალიზაციისათვის.

სისტემატიურად მჟღავნდებოდა ნაკლოვანებანი, სამეურნეო ხელმძღვანელების სუსტი მხარეები, აშკარავდებოდა წუნის მკეთებლები და, ყოველივე ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო. მაგალითად: თუ იანვარში მთელი ფაბრიკის მასშტაბით გადასაკეთებელი წუნი გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობის 4,8 პროცენტს შეადგენდა, 25 თებერვლამდე იგი 1,8 პროცენტამდე შემცირეს. გამოუსწორებელი წუნი იანვარში იყო 1,4 პროცენტი, ხოლო თებერვალში (25-მდე) შეადგენდა 0,2 პროცენტს, როგორც ჩანს, ერთი თვის განმავლობაში საგრძნობი გარდატეხა იქნა მიღწეული. მუშაობის მხოლოდ ასეთი მეთოდით შეიძლება წუნის ნამდვილად მოსპობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც „კომუნისტის" გამსვლელმა რედაქციამ დაამთავრა მუშაობა, — ფაბრიკის ხელმძღვანელები თვითდინებას დაეყრდნენ. საამქროებში შესუსტდა შრომის დისციპლინა, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნიკური წრეების მუშაობა და საერთოდ ბრძოლა კარგი ხარისხის პროდუქციისათვის.

ფაბრიკაში პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სუსტია. პარტიულმა კომიტეტმა ვერ შესძლო პარტიის წევრების ავანგარდული როლის ამაღლება საწარმოო დავალებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის ბრძოლაში. პარტიის წევრები: **ს. კულიევა, ე. კიკნაძე, ტ. მიკირტიჩიანი, ა. ფეიქრიშვილი და სხვ.** გეგმებს სისტემატიურად ვერ ასრულებენ.

დასკვნა ნათელია.

ფაბრიკის მუშაობის ასე გაგრძელება შეუძლებელია. საქ. კ. პ. (ბ) 26 კომუნარის სახელობის რაიკომმა და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყონ ფაბრიკის ცოცხალი ხელმძღვანელობა და მიიღონ ყოველგვარი ზომები წუნის მთლიანად მოსპობისათვის.

ტერ. ნაროუშვილი.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

გიგანტის შენება

მოჰქუხდენ მთებიდან მდინარეები მტკვარი, რიონი, ხრამი, აჭარის წყალი, უსმენდენ მის დუდუნს თუ გიჟურ ხტომას და თურმე კი შესაძლებელი ყოფილა რიონს ერთ წამში 70 ათასი ცხენის ძალა გამოგლიჯო მტკვარს 48000, აჭარის წყალს 30 ათასი ხრამს ორმოციათასი და სამას ათასი მერანის ძალით საქართველოს სოციალისტურ მშენებლობას ელვარე სინათლის ჭაღი დაუნთო.

თურმე იმიტომ იტაცებდა რიონი თავის გიჟური, ფაფარაყრილი ღრიანცელით კაცის თვალს, რომ მას წელიწადში ორასორმოცდაათი მილ. კილოვატ საათი ენერგიის მოცემა შესძლებია, რომელიც ლიხის მთას ელვით გადადის და ცალი თვალით ტფილისის ცას ასცქერის მეორეთი კი ქუთაისისას.

მიუხედავად ამისა, რიონს თავისი ღრიანცელი არ მოუშლია, ის ისევ ძველებურად ჯანიანად და ცოცხლად მიქუხს თავის ვიწრო კლდოვან ყალაპოტში და გაშლილ ჭალებშიც.

რიონჰესის სამუშაოთა პირველი უბანი საგუბარი იყო. საგუბარი ამართულია, როგორც კარიბჭე, სდგას როგორც შეურყევი ციხის კედელი და გაბრაზებული, ამღვრეული და გულმაგი ეხეთქება საგუბრის ფარებს რიონი და დაჭრილივით მისი ფეხთით წვება.

კაშხალის ზედახიდზე ვარ, შევსცქერი ფარების ამწევ მექანიზმებს, რომელსაც ლითონის ასოებით აწერია „წითელი პუტილოველი". საბჭოთა კავშირში დამზადებული მანქანებია.

იქვე სდგას კაშხალის მექანიკი გიორგი მიშჩენკო რომელიც „წითელ პუტილოველის" ქარხნიდან გამოგზავნილი იყო ამწევ მექანიზმების დასადგმელად, 4 წელიწადი დამკვრელურ მუშაობაში გაატარა და მონტაჟის შემდეგ კაშხალის მექანიკად დარჩა რიონჰესში. მიშჩენკო შუახნის ოდნავ წელში მო[illegible]ლი კაცია. ის დღე მუდამ თავს დასტრიალებს მექანიზმებს, როგორც მეზღვაური ზღვის ჰორიზონტს, ისე გასცქერის ხოლმე მიშჩენკო საგუბარისაკენ მიმდინარე რიონს. უკვირდება საგუბარში დაგროვილ წყლის დონეს და თუ კაშხალს რაიმე მოელის მისი ფარები სწრაფად აიწევიან, რამდენიმე წამში წყალს საჭირო დონემდი დაიყვანენ. მიშჩენკოს მთელი გულისყური კაშხალისკენ აქვს მიპყრობილი. ტყუილა კი არ გამოიცადა მისი მარჯვენა „წითელ პუტილოველში", ტყუილათ კი არ მისცეს წითელდროშოვანი ორდენი, რომელსაც ამაყად ატარებს...

დაბალი ხმით მესაუბრება მიშჩენკო და მიამბობს თავისი მუშაობის შესახებ. მიშჩენკოს დიდი გამოცდილება აქვს. ძორაჰესის პირველი კაშხალი მან დასდგა. ექვსი თვე ზაჰესზე მანტიორათ მუშაობდა, ტფილისის ახალი ხიდის მშენებლობაზეც კი წილი მიუძღვის, მან მოაწყო ბაგირის ამწევი კრანი.

მიშჩენკო მიამბობს წინა კვირის ამბავს და ფიქრიანათ გასცქერის სივრცეს.

დღედალამის განმავლობაში წვიმები მოდიოდა. საღამოთი რიონს ადიდება დაეტყო, მაგრამ სახიფათო არაფერი იყო მოსალოდნელი. ღამის განმავლობაში მიშჩენკო ხშირად გადაავლებდა ხოლმე თვალს კაშხალს. ყველაფერი რიგზე იყო, ოღონდ განთიადისას, როდესაც მტრედისფრად განათდა ცა, რიონმა საგუბარისკენ ხეების ზიდვა დაიწყო. ჯერ კარგა არც კი გათენებულიყო, რომ ოთხივე ფარისა და ტივსაშვების წინ დაგროვდა უამრავი ხე-ტყე, რომელიც კაშხალს დაზიანებით ემუქრებოდა. არ დაბნეულა მიშჩენკო, რამდენიმე წამში ყველა ფეხზე დააყენა, ასწიეს ფარები, ამუშავდენ ინჟენერ - ტექნიკოსებიც და საგუბარი მოწოლილ ხეტყისაგან გაანთავისუფლეს.

საგუბართან იწყება პირველი გვირაბი, რომელიც საგენერატორო სადგურისაკენ მიმართავს რიონისაგან ჩამონაკვეთ ტოტს.

ვუცქერი ამ არხებს, გვირაბებს, მისი გვერდები ღოღაბით სუფთათ და ლამაზად ამოლესილია. მდორეთ, წყნარად, ჰკვიანად, როგორც მშობლის რჩეული შვილი, მოდის ეს რიონისაგან მონაგლეჯი პატარა მდინარე სულ სხვა მიმართულებით, მაგრამ რამდენი ოფლია ჩაღვრილი, რამდენი ენერგია და ძალაა ჩაქსოვილი მასში, ვიდრე ძალოვან ხელში მოიგდებდენ მას რიონჰესის მშენებლები

მიამბობენ **ირაკლი ობოლაძის** შესახებ. მეც თვალწინ წარმოვიდგენ ახალგაზრდა მშენებელს, ცოცხალი მოძრავი და ენერგიული სახისას, რომელიც, როგორც გმირი და ახალი ადამიანი დაიბადა და გაიზარდა რიონჰესის მშენებლობაზე. რა თავგანწირვა და თავდადება გამოიჩინა მან. რამდენი ბრძოლა გამოუვლია სიძნელეებთან გეგმების შესრულებისთვის და სულ კომკავშირული ენტუზიაზმით. ირაკლი ობოლაძის ბრიგადა 50-ჯერ დაჯილდოვებულა. პირადათ თვითონ ოცჯერ. მისი გვარი არასოდეს არ წაშლილა არც წითელ დაფაზე არც ადგილობრივ გაზეთებში და ერთხელ მოპოვებული გარდამავალი დროშა მშენებლობის დამთავრებამდე არავისთვის დაუთმია. მისი ბრიგადა მხოლოდ კომკავშირლებისაგან შესდგებოდა. ბრიგადის ჩამოყალიბების პირველსავე თვეებში არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა მან. ობოლაძე გვირაბში ორი მიმართულებით უტევდა. მაშინ ერთ მხრივ მიხნევიჩი მუშაობდა, მეორე მხარეზე გოგელაშვილის ბრიგადა. ობოლაძემ თავის ორად გაყოფილი ბრიგადა ისეთი ენტუზიაზმით და ორგანიზაციულად დარაზმული აამუშავა, რომ ორივე მხრივ გაარღვია კლდისა და მიწის ზოლები და მათ სამუშაოს საზღვრებში შეიჭრა. რიონჰესის მშენებლებს ობოლაძის გმირობის მრავალი შემთხვევა ახსოვს. თუ სადმე გარღვევა იქნებოდა, როგორც საუკეთესო მთავარსარდალი ბრძოლაში, ისე გაჩნდებოდა ხოლმე ის იქ. ვინმე თუ ჩამორჩებოდა, ბუქსირზე აიყვანდა უსათუოთ ის უნდა ყოფილიყო და მართლაც არავის არ ახსოვს როდესმე დამარცხებული დარჩენილიყოს. მხოლოდ ერთმა შემთხვევამ კარგა ხნით გამოიყვანა მებრძოლთა რიგებიდან. ეს იყო შარშან. დაქანებულ ფერდობზე მთელი თავისი სიმძლავრით მოჰქროდა ბეტონით დატვირთული რონოდა. ზედმდგომი მუშები სისწრაფის შენელებას ვერ ახერხებდენ და რატომღაც მინდობოდენ ბედს. ობოლაძემ თვალი მოჰკრა ამას, უეცრად გონებაში გაუელვა მწარე ფიქრმა, რომ რონოდა უსათუოთ გადავარდებოდა, დააზიანებდა ახლად ამოლესილ არხის კედლებსაც და თვით მუშებსაც იმსხვერპლებდა. გაფიქრებასთან ერთად ნაბიჯიც გადადგა და დაქანებულ რონოდას წინ გადაეღობა. ეძგერა რონოდა ობოლაძეს, მიაგდო ლიანდაგზე, მაგრამ, თითონაც შეჩერდა, ოღონდ ობოლაძეს მძიმედ დაუშავდა ფეხი. რიონჰესის სამმართველომ დიდი ყურადღება მიაპყრო მას, რომ გმირისათვის ფეხი შეენარჩუნებინა, რადგან მთელი თვეების განმავლობაში ფეხის მოჭრის საფრთხე იყო. გადარჩა. დღეს ობოლაძე ისევ მშენებლობაზე დგას. მოკლე ხანში ხრამჰესზე გადადის, ახალმშენებლობაზე ძველი ჩვევების გადასატანათ.

დინჯი ნაბიჯით მივყვები სალორიის ტყის შუაგულს. ტყე არ არის ხშირი. ახოვანი მუხნარის ლამაზი ხშირი ფოთლები ოდნავ ბურავენ სინათლეს. დგას ნოყიერი რკოს, ხეების ქერქის და ფოთლების გამაბრუებელი სურნელება. სალორიას ტყე მხოლოდ მუხნარია, რომელიც ერთ დროს გარეული ღორებით სავსე, ხშირი და დაბურული იყო. მესამე არხი გაყვანილია ამ ტყეში. თვალწინ მიდგება სურათი, როდესაც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე სჭრიდენ ბებერ მუხებს. როგორი ჭახანით და გრიალით ეცემოდენ მიწაზე ხეები, როგორც მშენებლობის მსხვერპლნი. დღეს ადამიანმა, როგორც ხეივანში, ისე შესდგა ფეხი. მის გულში მდინარეც კი გაიტარა და ამ მუხნარში ღამით, ელვარე ციცინათელებათ ანთია ელექტრონის ნათურები.

როდესაც მეოთხე შტრეკს ვჭრიდით — მიამბობს გვერდზე მომყოლი ძველი ბრიგადირი, — მახსოვს, დიდი შიში განვიცადეთ. ჩვენ ყოველწუთში შესახვედრათ ველოდებოდით მოპირდაპირე მხრიდან მომავალ ბრიგადას... თვითეულ ჩვენგანს გული უცემდა. შეხვედრის დრომ გაიარა და გვეგონა მიმართულება შეგვეშალა. მაინც არა ვცხრებოდით, მაინც ვჭრიდით კლდეს, მივიწევდით წინ. ვჩერდებოდით ხოლმე თითო წუთით, დაუგდებდით ყურს, რომ იქნებ ჯახუნის ხმა გაგვეგო, მაგრამ ამაოდ. უცბათ შტრეკის უკანა მხარე ჩამოგვენგრა, მღელვარებამ აგვიტანა, დავყარეთ იარაღი და მივცვივდით ჩამონგრევის ადგილს. გასავალი კარი გადაგველობა. ჩავრჩით უმწეოთ, მაგრამ გადარჩენის იმედი არ დაგვიკარგავს. ველოდით მოპირდაპირე მხრიდან მომავალ ბრიგადას, რომელიც კარგა ხანია უნდა შეგვხვედროდა და გარდა ამისა ყველას გვჯეროდა, რომ ჩვენს დასახსნელად წამოვიდოდა. ნახევარი საათი არ გასულა. რომ წერაქვების და ნიჩბების ჯახუნი მოგვესმა. სიხარულის ჟრუანტელმა დაგვიარა სხეულში. ორი საათის შემდეგ უკვე მშველელმა ამხანაგებმა თავი შემოჰყვეს და გადმოგვძახეს:

— ცოცხლები ხართ?

ერთხმათ მივაძახეთ.

— ყველა, ყველა!...

როგორმა სიყვარულის გრძნობამ გაიელვა ჩვენში მათდამი, არ ვიცოდით რითი გამოგვეხატა. მერე მათ გმირობას გმირობა დაუმატეს. ჩვენთან ერთად შეუდგენ კლდის ჭრას, ათი წუთის შემდეგ გავანგრიეთ ხვრელი და შემხვედრებს საგამარჯვებოდ ხელი გავუწოდეთ.

ობოლაძისთანა გმირები რიონჰესს ერთი და ორი არა ჰყოლია. ერთის ნება - სურვილი ასეთ გამარჯვებას ვერ მიაღწევდა. აქ იყო გმირობა და თავდადება მასიური. ისეთივე თავგამოდებული და გამარჯვების მოყვარული იყვნენ ბრიგადირები **გოგელაშვილი, პოლიტიდი, გრიგორიანცი, ჭლიკაძე**, რომელნიც ობოლაძის ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვებოდენ. ყველა ესენი ხრამჰესზე გადადიან ახალ გმირულ შრომაში მონაწილეობის მისაღებად.

სალორიის ტყეს გავცდით. გავიარეთ სადღეღამისო აუზი, სადაც წყლის მარაგი იქნება მოქცეული. მიუახლოვდით საწნეო ჰაუზს. საწნეო ჰაუზის ამწევი მექანიზმების აივნიდან ლამაზად მოსჩანს წინაველი და რიონ - ყვირილას გაშლილი ჭალები. აივნის ძირში კი ოთხი ფართე უზარმაზარ მილი მიიკლაკნება საგენერატორო სადგურისაკენ, რომლის შიგნითაც მძლავრად სცემს სამოცდაათიათასი გაჭენებული ცხენის ქშენა, მოქცეული ოთხ ფოლადის გულში — ტურბო-გენერატორებში. ეს საგენერატორო სადგური ამ გორაკიან ფერდობზე განსაკუთრებული სილამაზით მოსჩანს. მის გვერდით ჩამოლაგებულია ტრანსფორმატორები, რომლის თავზეც ათასეული მავთულებით გადანასკვული ხლართებია. შიგ საგენერატორო სადგურში კი შეუჩერებელი, გამაბრუებელი გუგუნი ისმის. ქშინავენ უზარმაზარი დგუშები, მილები. მანქანებს აწერია: „ლენინგრადის ლითონის ქარხანა". სიხარულს და აღტაცებას ვგრძნობ, გიგანტი აშენებულია საბჭოთა კავშირში დამზადებული მანქანებით და უზადოთ, უნაკლოთ.

რიონჰესის სამუშაოთა ყველა უბანს თავისი გმირები ჰყავს. საგენერატორო სადგურის მონტაჟიორებშიც არიან ობოლაძეები, აქაც იყო ბრძოლა ტურბო - გენერატორების დადგმისათვის, მისი ზუსტი და შეუშლელი მუშაობისთვის, ყველაზე საფრთხილო და საპასუხისმგებლო უბანი აქ იყო. აქ არის გული და ტვინი. რიონჰესის ძალა და აზრი. ფარ-საპულტო განყოფილება, მთლიანად მარმარილოს დაფებისაგან შემდგარი კედელია; რეოსტატებით, ამპერ — საათებით და ელექტრონის სიგნალებით. ეს ხელმძღვანელობს ტურბო - გენერატორების მუშაობასაც და მთელ საქართველოს უდიდეს ფაბრიკა - ქარხნებში ელდენის მიწოდებასაც.

აი, ინჟენერი **ჩოგოვაძე**, რომელსაც არ დაუზოგავს ძალა და ენერგია, უნარი და ცოდნა იმისათვის, რომ საგენერატორო სადგურის დამონტაჟება გეგმიანად და დროულად ჩატარებულიყო.

ის ამბობს:

— ყოველდღე ვიწვევდით ათწუთიან საწარმოო თათბირს, ვაჯამებდით დღიურ ნამუშევარს და ვისახავდით ხვალინდელი დღის გეგმას. მონტაჟზე მომუშავენი ისეთი ენტუზიაზმით მუშაობდენ, რომ სოცშეჯიბრება-დამკვრელობისათვის მასიური მუშაობის წარმოება საჭირო არ იყო.

თვითონ ჩოგოვაძე გენერატორების გამოცდის პერიოდებში დღითა და ღამით სადგურში იყო. იძინებდა იქვე უხვად დაყრილ ბურბუშელაში და რიჟრაჟისას კვლავ მონტაჟს იწყებდა. მან ერთერთ თავის ჯილდოთ მიიღო საბჭოთა კავშირის ჰიდრო სადგურებზე გამგზავრება. მან დაათვალიერა დნეპროშენი სვირშენი ვოლხშენი, კაშირის სადგური და სხვ.

რა მდიდარი განცდებით იყვნენ შეპყრობილი გესსადგურის ინჟენერ-ტექნიკოსები, როდესაც პირველი საცდელის გაშვება უნდა მოეწყოთ. აქ თავმოყრილი იყვნენ მშენებლობის ხელმძღვანელები: **ჯიქია, მიქელაძე, მამალაძე და** გესსადგურის უშუალო დამდგმელ მონტაჟიორები: **ვოსციინი, ლევენტალი, ხილტოვი, ბარკოვსკი.** ისინი გულისმგერით მოელოდენ აგრეგატების ამუშავების წუთებს, ღელავდენ განიცდიდენ რაღაც ფარულ ტკბილ - მწარულ გრძნობას: დატრიალდება თუ არა ტურბინა. ამოქმედდება თუ არა გენერატორი, გადასცემს თუ არა ტრანსფორმატორი ულელტეხილს, და ფეროს ელექტროენერგიას? ამ ფიქრებზე იყვნენ მიჯაჭვული.

მაგრამ გამოცდა ბრწყინვალედ მიდიოდა. საათის მექანიზმის სისწორით ამუშავდა ბუმბერაზი მანქანები.

მერე ტელეფონით ზაჰესს განკარგულება გაეცა გამოეთიშა სურამის ულელტეხილის ელხაზი. განკარგულება შესრულდა. მცირე ხნის შემდეგ მარმარილოს დაფაში ჩაკრულ ვატრმეტრის ისარმა ნელი ქანაობა დაიწყო. ეს იყო გამარჯვება. ელექტრომავლებმა რიონჰესის ელდენი აიღეს.

⁂

გიგანტი აშენდა ლენინ - სტალინის პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით. გიგანტი ამართეს დამკვრელმა მუშებმა ინჟენერ - ტექნიკოსებმა, მაგრამ თვით გიგანტმაც გაზარდა ადამიანები და გმირები, იმერეთის ღარიბ სოფლებიდან მოდიოდენ ახალგაზრდები, რომელთაც კავისა და თოხისტარის მეტი არაფერი ენახათ და იმდენათ სიყვარულით ეკიდებოდენ შენების საქმეს, რომ სულ მალე ექსკავატორების, ამწევ მექანიზმების და სხვა მანქანების საუკეთესო ოსტატები ხდებოდენ. აქ აღიზარდენ საუკეთესო ინჟენრები და მექანიკოსები რომელთაც უდიდესი გამოცდილება მიიღეს უმაღლესის დამთავრების შემდეგ.

რიონჰესის მშენებლობის უფროსი იყო **ვალოდია ჯიქია**, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

თვალწინ მიდგება ღია ბრინჯაოსფრად ჩამოკვეთილი სახე უღიმილოთ და ნაკვეთების შეურხევლად ენერგიული გამოხედვა სავსე ქუთუთოებში ჩასმული თვალებისა და მისი ფიქრიანი დუმილი. ეს არის ვალოდია ჯიქია.

როგორ ვერ შეასრულებდა ის თავის ამოცანას, როდესაც ის მუშაობის მდიდარი გამოცდილების მქონეა. ოთხი წელიწადი ვოლხოვსტროის მშენებლობის უფროსის თანაშემწეთ მუშაობდა. გაბედულად სწევდა წინ ახალგაზრდა კადრებს და აძლევდა მათ ინიციატივას და არცა სცდებოდა. მუშაობაში იყო მომთხოვნი და ამავე დროს კარგი ამხანაგიც.

რიონჰესმა ენერგია უნდა მიაწოდოს სურამის ულელტეხილს, ზესტაფონის ფერომარგანეცს, ჭიათურის სამთო წარმოებას, მარელისის ავეჯეულობის ქარხანას, ტყიბულის ქვანახშირის გვირაბებს, ინგურის ქაღალდის ფაბრიკას, ქუთაისის მაუდის ფაბრიკას, ბარიტის ქარხანას, გარდა ამისა უნდა გაანათოს გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ჭიათურის, შორაპნის, ხონის და სამტრედიის ხაზზე მდებარე სოფლები. ეს მართლაც ღამის განათება იქნება, ველარ დააბნელებს ღრუბლიანი ცა აღორძინების გზაზე დამდგარი სოფლების და მშრომელი კოლმეურნე გლეხების ცხოვრებას.

მაღალ ხარისხოვნად დავამთავროთ პირუტყვის აღრიცხვა

განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა

განა ასე უნდა ზრუნვა საკვები ბაზისათვის

ყვარელი, (საკ. კორ.). პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წელს ყვარლის რაიონში უნდა დასილოსდეს 220 ტონა საკვები. ამ მიზნით 1 ივლისამდე უნდა აეშენებიათ 90 ტონა ტევადი ახალი და შეეკეთებიათ 130 ტონა ტევადი ძველი სასილოსე ნაგებობები.

ორმოები ყველგან გაჭრილია, მაგრამ ცემენტის უქონლობის გამო ახალი ნაგებობების და ძველების შეკეთება შეჩერებულია.

ამ მშენებლობისათვის საჭირო ცემენტი მიწსახკომმა ჯერ კიდევ 28 თებერვალს გადმოუგზავნა ყვარლის რაიონისათვის „სოფლმომარაგების" გურჯაანის განყოფილებას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცემენტი გურჯაანის რაიონში გაანაწილა, ყვარელს კი კატეგორიული უარი სტკიცა ცემენტის მიცემაზე. ყვარლის რაიონულმა ორგანიზაციებმა ეს აცნობეს სადაც ჯერ არს, მაგრამ მდგომარეობა დღემდე გამოუსწორებელია.

დასასილოსებელი მასა უკვე მწიფეა, საჭიროა მისი დროზე ჩაწნილება. რაიონში დასილოსება ჯერ არც ერთ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას არა აქვს დაწყებული.

ყვარლის რაიონულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ცემენტის შემცვლელი მასალის ადგილობრივი რესურსები, დაკვრითი წესით ჩაატარონ ახალ ნაგებობათა შენება და ძველის შეკეთება, რომ საკვები მასის დასილოსება არ დაგვიანდეს.

ქ. აფხაზავა

დაკონტრაქტებულ ხბოებს კლავენ

ცაგერი. პარტიის გადაწყვეტილებები მეცხოველეობის განვითარების შესახებ ცაგერის რაიონის ყველა პირველად პარტორგანიზაციაში და კოლმეურნეობაში დაამუშავეს. სოფსაბჭოებთან ჩამოაყალიბეს მეცხოველეობის სექციები, კოლმეურნეობებში გამოყვეს მეცხოველეობის ინსპექტორები და ერთპიროვნულ მეურნეობებში ზოოვეტრწმუნებულები, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. პრაქტიკულ საქმიანობას ჯერაც არ შესდგომიან.

მაგალითად ნაკურალების სოფსაბჭოში მეცხოველეობის სექციას ჯერ ერთი სხდომაც არ ჰქონია. არ გამორკვევიათ პირუტყვის რაოდენობა, არ აღურიცხავთ უძროხო კოლმეურნეები.

სოფსაბჭომ ისიც კი არ იცის, რამდენი ხბო უნდა დააკონტრაქტოს. ზოოვეტმომსახურება მოუწესრიგებელია. ცუდი მოვლის გამო, სოფ. ნაკურალებში დაიხოცა 130 გოჭი, სოფ. ლაილაშში 40 ღორი და გოჭი, ალპანაში — 75 გოჭი.

გახშირდა დაკონტრაქტებული ხბოების დაკვლა: სოფ. ლატორიაში დაკლეს 6 და სპათაგორში 4 დაკონტრაქტებული ხბო. დაკონტრაქტებული ხბოები დაკლეს კოლმეურნე ი. ჩაჩხიანმა და დ. ჩაჩხიანმა (სოფ. ლაილაში). სოფ. აჯარის მცხოვრებმა ა. ფრუიძემ გაყიდა დაკონტრაქტებული ხბო. ალპანის სახადილოს გამგე, იგივე პარტორგანიზატორი, ინდიკ ოჯვანაძე ფარულად ყიდულობს და კლავს ხბოებს.

რაიონის ხელმძღვანელები და პროკურორი კი ამ ამბებს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ.

ს. ხვამლელი.

რედაქცია: „კომუნისტი" მოელის ამ საქმეში ცაგერის პროკურორის სასწრაფო ჩარევას და ცნობას მიღებული ზომების შესახებ.

აღრიცხვის წინასწარი შედეგები

პირუტყვის აღრიცხვა ძირითადათ დამთავრებულია. იმ რაიონებმა, სადაც აღრიცხვას მომზადებული შეხვდნენ და ამ საქმეს ენერგიულად მოკიდეს ხელი, უკვე 26-28 ივლისისათვის გადმოუგზავნეს ცენტრს შეჯამებული მასალები. ასეთი არიან სამტრედიის, კასპის. ფოთის, ყვარელის და ბაღდათის რაიონები.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ზოგან აღრიცხვა სათანადოდ ვერ შეაფასეს, ეს საქმე მეორე ხარისხოვნად მიიჩნიეს.

ასეთ რაიონებში აღრიცხვას თან ახლდა ზოგიერთი ნაკლი და დამახინჯება. მაგალითად **ლანჩხუთის** რაიონის სუფსის, ჩიბათის და აცანის სოფსაბჭოებში საარიცხვო კომისიებმა არ შეიწუხეს თავი ეზოების შემოვლით, ჩრდილში წამოწვენ და ორიოდ კაცის სიტყვიერი ჩვენების თანახმად შეავსეს საარიცხვო ფურცლები. რაიკომის ბიურო იძულებული გახდა გაეუქმებია ჩატარებული მუშაობა და აღრიცხვა ამ სოფლებში ხელმეორედ ჩაეტარებია.

ამავე რაიონის ნიგოითის სოფსაბჭოს საარიცხვო კომისიის წევრ **ბენია თავლიშვილს** (პარტიის წევრი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე) საკონტროლო შემოწმებამ აღმოუჩინა გადამალული 1 დედა ღორი, 1 ცხენი კვიცით და 1 კამეჩი. ბენია თავლიშვილისათვის პასუხი ჯერ არავის მოუთხოვია, რაც რაიონული ორგანიზაციების ლიბერალურ განწყობილებას უნდა მიეწეროს.

რაიფინგანის დაუდევრობის და უპასუხისმგებლობის შედეგად სტალინისის რაიონში საგადასახადო კომისიის წევრებად მეტ ნაწილად შეუფერებელი მუშაკები გამოყვეს. კომისიები აქ საქმეს ზერელედ მოეკიდნენ და აღრიცხვა ჩაიშალა. თვით ქ. **სტალინისში** ამ კომისიების მასალის მიხედვით ახლა ირიცხება 1400 კომლი 6.000 კაცით, როცა ჯერ კიდევ 1926 წელს აღრიცხულია 2.430 კომლი 10.100 კაცით. აქვე 85 კომლს გადამალული აღმოაჩნდა 92 სული პირუტყვი.

აღრიცხვა სუსტად ჩატარდა აგრეთვე **სიღნაღში**, სადაც აღურიცხავი დარჩა მოსახლეობის და პირუტყვის საგრძნობი ნაწილი. აღრიცხვა აქ ხელმეორედ ჩაატარეს.

ვანის რაიონის სოფ. ტობანიერში საკონტროლო შემოწმების დროს გამოირკვა, რომ სოფსაბჭოს თავმჯდომარე და აღმრიცხველის დაუდევრობით აღურიცხავია პირუტყვის დიდი რაოდენობა. მარტო 52 კომლს გადამალული აღმოაჩნდა 92 სული პირუტყვი.

გარდა ჩამოთვლილ შემთხვევებისა აღრიცხვის პირველ ხანებში ზოგიერთ სხვა რაიონშიაც დაუშვეს შეცდომები, მაგრამ საკონტროლო შემოწმების დროს ეს შეცდომები გამომჟღავნდა და მათ გამოსასწორებლად მიღებულია ზომები.

წინასწარი ცნობების მიხედვით ახლანდელი აღრიცხვა პირუტყვის რაოდენობის საგრძნობ ზრდას გვიჩვენებს. ცხადია ამ ზრდაზე ნამატი გავლენას ახდენს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ წინად აღურიცხავი რჩებოდა პირუტყვის საგრძნობი რაოდენობა.

ავიღოთ მაგალითად ამბროლაურის რაიონი. 1933 წლის აღრიცხვით აქ ირიცხებოდა 24.244 ძროხა. წელს კი 27.334 სულია აღრიცხული, ზრდა უდრის 12,6 პროც., აქვე ღორების რაოდენობა გასულ წელთან 15,7 პროც. გაიზარდა.

ამრიგად პირუტყვის რაოდენობა ჩვენში ფაქტიურად გაცილებით მეტია, ვიდრე აქამდე ვფიქრობდით.

ეს დასკვნა გადაჭრით გვავალებს ენერგიულად მოვკიდოთ ხელი საკვები ბაზის განმტკიცებას. გადაჭარბებით შევასრულოთ საკვები ფონდების შექმნის გეგმა, რომ პირუტყვის მთელი რაოდენობა მოვამარაგოთ საკვებით. ვემზადოთ გამოზამთრებისათვის და უზრუნველვყოთ მეცხოველეობის შეუფერხებელი განვითარება.

ქ. ტ—ძე.

რა გვიჩვენა აღრიცხვამ

ყაზბეგის რაიონი მეცხოველეობის, უმთავრესად მეცხვარეობის რაიონს წარმოადგენს. 1931 წლიდან 1933 წლამდე, მეცხვარეობა აქ განვითარების ნაცვლად სწრაფად დაეცა. 1931 წელს რაიონში ირიცხებოდა 152 ათასამდე ცხვარი, ხოლო 1933 წლისთვის ცხვრის რაოდენობა 38.800 სულამდე შემცირდა.

ცხვრის რაოდენობის შემცირება გამოიწვია რაიონის პურით მომარაგების მოუწესრიგებლობამ და საზამთრო საძოვრების მოუწყობლობამ. გარდა ამისა რაიონში გასაქანი მიეცა კულაკურ აგიტაციას, რის წინააღმდეგაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საჭირო ბრძოლა ვერ გაშალეს, მოწესრიგებული არ იყო აგრეთვე ვეტმომსახურება.

მიმდინარე აღრიცხვამ, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ჩატარდა, გამოარკვია, რომ მეცხოველეობის განვითარების საქმეში აქ თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა; მართალია აქა-იქ ცადეს პირუტყვის გადამალვა (ყაზბეგის სოფსაბჭოში გადამალეს 912, სიონის სოფსაბჭოში — 1874; გუდაურის სოფსაბჭოში — 193 სული ცხვარი), მაგრამ ასეთ ცდებს აქ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს, რამაც დადებითი ნაყოფი გამოიღო და აღრიცხვა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

აღრიცხვის წინასწარი ცნობების თანახმად წვრილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა რაიონში 54 ათასს აღემატება და 1933 წელთან შედარებით, 50 პროცენტით არის გაზრდილი ძროხების რაოდენობა გაზრდილია 74 სულით და დეკეულების — 23 სულით.

საერთოდ ყაზბეგის რაიონში მეცხოველეობის განვითარების მხრივ საგრძნობი წარმატებებია მიღწეული, რაც იმას მოწმობს, რომ რაიონის ხელმძღვანელებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი ამ საქმეს და იბრძვიან მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყაზბეგის რაიონის პარტორგანიზაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა და, პირუტყვისათვის ბინების აგება და მეცხვარეთა მომსახურების გაუმჯობესება.

საზამთრო საძოვრების ტერიტორიის (95.000 ჰექტ.) ნახევარზე მეტი უწყლო მიწებია, რაც მძიმე პირობებში აყენებს ცხვარს. ამ საძოვრებზე წყლის გაყვანა აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს.

ამ საკითხების მოგვარებას რაიონმა მტკიცედ უნდა მოკიდოს ხელი და ამით უზრუნველყოს მეცხოველეობის სწრაფი განვითარება.

ა. შადური;
გ. სადუნიშვილი.

როდის მიხედავთ სილოსს

თელავი, (საკ. კორ.). თელავის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელები და რაიმიწგანი საკვები მასის დასილოსებას არ ხელმძღვანელობენ.

15 ივლისისათვის რაიონში დასილოსებული უნდა ყოფილიყო 400 ტონა საკვები. ფაქტიურად დასილოსებულია მხოლოდ 13 ტონა. რაიმიწგანის და სამ.-სატრ. სადგურის აგრონომებმა არ იციან რომელ კოლმეურნეობას აქვს დაწყებული დასილოსება.

კომკავშირის ორგანიზაციაც (დასილოსების შეფეა) სუსტად მუშაობს. „მსუბუქი კავალერიის" რაზმებს არც ერთ კოლმეურნეობაში ან სოფელში **არ შეუმოწმებიათ ამ ჩამორჩენის მიზეზი**.

დასილოსების გეგმა უკვე ჩაშლილია, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება. რაიმიწგანმა და სამ.-სატრაქტორო სადგურმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ და დასილოსების გეგმა მთლიანად შეასრულონ.

აღრიცხვა დამთავრდა

ტყიბულის რაიონმა პირუტყვის აღრიცხვა დაამთავრა. რაიონულმა ორგანიზაციებმა ამ საქმეს თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქციეს და აღრიცხვის სწორად ჩატარებისათვის რაიონისა და სოფლების მთელი აქტივი დარაზმეს.

მიმდინარე აღრიცხვა გასული წლების აღრიცხვებთან შედარებით საუკეთესო სურათს იძლევა. 1933 წელს ტყიბულის რაიონში აღრიცხული იყო სულ 13.299 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მიმდინარე წლის იანვარში — 11.659; ახლა კი აღრიცხულია 13.378 სული პირუტყვი. განსაკუთრებით გაიზარდა თხებისა და ღორების რაოდენობა.

1933 წელს ტყიბულის რაიონში აღრიცხული იქნა თხა 983, მიმდინარე წლის იანვარში — 940, ახლა კი აღრიცხულია 1162 სული. გასულ წელს ღორი აღრიცხულ იქნა 2854, ახლა კი 4.051 სულია აღრიცხული.

ცხადია, აქ საქმე გვაქვს ნამატთან, მაგრამ პირუტყვის რაოდენობის ზრდის მთავარ მიზეზად ახლანდელი აღრიცხვის მაღალი ხარისხი უნდა ჩაითვალოს.

წინად აღრიცხვას ატარებდენ ხახელდახელოდ — ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

ეს შეცდომა წელს თავიდან აცდენილი იქნა. აღრიცხვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ საარიცხვო კომისიების მუშაობაში და აღრიცხვაც გაცილებით უკეთ ჩატარდა.

პირუტყვის საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად აღრიცხვამ ცალკე სოფსაბჭოებში (გურნა, დღნარისა) პირუტყვის კლება გვაჩვენა. მარტო გურნის სასოფლო საბჭოში გასულ წელთან შედარებით პირუტყვის რაოდენობა 224 სულით შემცირდა.

პირუტყვის აღრიცხვის დროს ზოგიერთ რაიონში დაშვებულ იქნა დამახინჯება. საარიცხვო შტაბის დადგენილებით ფინგანის მუშაკი **შ. თვალაძე** მიმაგრებულ იქნა რამდენიმე სოფელზე აღრიცხვის ხელმძღვანელად. თვალაძემ სოფლად წაბრძანება არ იკადრა და სოფლებში სხვა გამოყოფილი ამხანაგები გაგზავნა.

სოფ. **მუხურაში** გაიგზავნა ამხ. **კაპანაძე**, რომელმაც ვერ შეძლო მასების დარაზმვა, ვერ აამოქმედა საარიცხვო კომისია და აღრიცხვა მარტო თვითონ ჩაატარა და შეცდომებიც ბევრი დაუშვა.

საარიცხვო შტაბმა ამ სოფელში დამატებით მიავლინა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც აღრიცხვა სანიმუშოდ ჩაატარეს და გამოარკვიეს, რომ პირველი აღრიცხვის დროს ერთპიროვნულ მეურნეებს 230 სული მსხვილფეხა და 804 სული წვრილფეხა საქონელი გადაემალათ.

რაიონში უკვე ჩატარებულია საკონტროლო შემოწმება, რომელმაც ნათელყო, რომ აღრიცხვა ტყიბულის რაიონში დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. შეჯამებული მასალები ამ დღეებში გაეგზავნება ცენტრს.

გ. მერკვილაძე.

ასე არ არის ახლა

(ზესტაფონი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის მუშათა დახურული კოოპერატივი განადგურების კარამდე მიიყვანა ჯერ **დ. კოპტალაძემ** და შემდეგ **ქ. მღებრიშვილმა**. წინათ ისინი გამგეობის თავმჯდომარეებად მუშაობდენ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 23 მარტს გამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია ფეროს მუშათა დახურულ კოოპერატივში გამეფებული უმსგავსოება: თანხების განიავება, თვალისახვევის ფაქტები, დებიტორების და კრედიტორების გაზრდა, ხელფასის ფონდის გადახარჯვა და სხვ. საქონელბრუნვის გეგმები თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე შეუსრულებელი რჩებოდა, მუშათა კვების საქმეც არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ასე იყო წინათ.

მაგრამ ასე არ არის ახლა.

მთავარია სამეურნეო ხელმძღვანელობა, ადამიანების შემოწმება, მათი სამეურნეო საქმიანობის უნარის მიხედვით. ფეროს მუშათა კოოპერატივი განმტკიცდა, შემოწმებული კადრებით, რამაც არსებითად შეცვალა მდგომარეობა.

საქონელბრუნვის გეგმა მეორე კვარტალში შესრულებულია 101 პროც., სადილების გამოშვება — 103,3 პროც., საპაიო თანხის შეგროვება — 194 პროც., წევრთა მიზიდვა — 120 პროც., საქონლის ნაშთი გეგმით გათვალისწინებულ 98.000 მანეთის ნაცვლად უდრის 114.500 მანეთს.

გადაჭრით გაუმჯობესებულია მუშათა კვება. მოწყობილია ცალკე საამქროების მიხედვით 6-მდე სასადილო, მათში განსაკუთრებით გამოირჩევა **დამკვრელთა სასადილო**. იქ მხოლოდ დამკვრელები სადილობენ, სასადილოში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სანიმუშოდაა დაცული, სადილის ხარისხი კარგია, სადილობისას უკრავს სიმებიანი ორკესტრი, და როიალი. თვითეულ მაგიდას ამშვენებს ყვავილები და ნარგავები.

სადნობ საამქროში, მუშების გაძლიერებული კვებაა. ყოველ დილით მუშებს ეძლევათ ორ-ორი ჭიქა რძე უფასოდ, ნამცხვრები, მინერალური წყლები, მაწონი, ქისელი, ბოსტნეული და სხვ., დაბალ ფასებში. სპეციალური სასადილოა აგრეთვე ინჟ.-ტექნიკურ ძალებისთვის.

სასადილოები ჩაბმულია კონკურსში **„საუკეთესო სამზარეულოსა და საუკეთესო მზარეულზე"**. შემუშავებულია პირობები თუ რას უნდა მიაღწიონ მზარეულებმა, მოწყობილია წუნდებულთა კუთხეები და სხვ. კონკურსის პირობებს თითქმის ყველა სამზარეულო კარგად ასრულებს, განსაკუთრებით გამოირჩევა ინჟ.-ტექნ. სასადილო, (გამგე — ვრ. უგრეხელიძე).

საერთოდ სადილების ფასი დაბალია საშუალოდ სადილი ღირს 90 კაპ.

დახურულ მუშათა კოოპერატივს აქვს საგარეუბნო მეურნეობა: ბოსტნეული 21 ჰექტარზე, პირუტყვისათვის საკვები ბალახი — 75 ჰექტ., 18 ძროხა, 14 დეკეული, 14 დედა ღორი, 101 გოჭი; უხვად მოიპოვება ბოსტნეული: პამიდორი, ახალი ლობიო, კიტრი და სხვ., ამას გარდა კოოპერატივს აქვს 4 დიდი მაღაზია, ფურნე, ლიმონათის ქარხანა და საყინულე. ყოველივე ეს და თვით გამგეობის ენერგიული მუშაობა ქმნის პირობებს მომარაგების დღითი-დღე გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღაზიები და საწყობი უხეიროდ შენობებშია მოთავსებული. სახურავიდან წვიმა ჩამოდის და აზიანებს პროდუქტებს. სინესტის გამო ამას წინათ 200 კილოგრამი ბრინჯი გაფუჭდა. ადმინისტრაცია ამ საქმეში კოოპერატივს უნდა დაეხმაროს.

ფეროს მუშათა დახურულ კოოპერატივმა ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს მიღწეული წარმატებები და იბრძოლოს კიდევ უფრო კარგი მდგომარეობის მოსაპოვებლად.

ვ. გაგუნია.

საბჭოთა მფრინავები ვარშავაში

ვარშავა, 30 ივლისი. გუშინ საბჭოთა მფრინავებმა ინახულეს სამხედრო და სამოქალაქო აეროდრომები ოკენცში (ვარშავასთან), „შკოდის" მოტორების ფაბრიკა და ტექნიკური გამოცდების ინსტიტუტი. ისინი დაესწრნენ აგრეთვე სამხრეთ-საავიაციო პარკის აღლუმს და დათვალიერებას მოკოტოვის აეროდრომზე.

გენერალური შტაბის უფროსმა გონსიოროვსკიმ გამართა საუზმე საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად. საღამოს საბჭოთა მფრინავები დაესწრნენ სამხედრო ავიაციის დეპარტამენტის უფროსის გენერალ რაისკის მიერ გამართულ სადილს და გენ. რაისკისთან ერთად იყვნენ თეატრში. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დავთიანი და დელეგაციის წევრები. მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ამხ. მეჟენინოვი, მ.-გ. წ. არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის უფროსი ამხ. ხრიპინი სადარბაზოდ ეწვივნ საგარეო საქმეთა მინისტრ ბეკს.

საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად სამხედრო მინისტრის ამხანაგის კასპშიცკის მიერ 28 ივლისს გამართულ სადილზე იყვნენ გენშტაბის უფროსი გონსიოროვსკი და არმიის სხვა უმაღლესი თანამდებობის პირნი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ამხ. დავთიანის მეთაურობით.

მისალმების სიტყვაში კასპშიცკიმ გამოთქვა აღტაცება საბჭოთა ავიაციის მაღალი თვისებებით, რამაც გამოხატულება ჰპოვა ჩელიუსკინელთა გადარჩენის დროს და დასასრულ ადღეგრძელა საბჭოთა მთავრობა.

საპასუხო სიტყვაში ამხ. დავთიანმა მადლობა გადაუხადა იმ სტუმართმოყვარეობისთვის, რომლითაც საბჭოთა მფრინავებს შეხვდნენ, აღნიშნა, რომ ურთიერთ გაცნობა ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას და ადღეგრძელა პოლონეთის მთავრობა. მეჟენინოვმა მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის და მისალმა პოლონეთის არმიის და ავიაციის წარმომადგენლებს.

„საბჭოთა ავიაციის წარმომადგენლები,— წერს „პოლსკა ზბროინა", — მოფრინდენ ჩვენთან მანქანებით, რომლებიც წარმოადგენენ ინჟინერ ტუპოლევის საუცხოო კონსტრუქციას. ორი ქვეყნის არმიათა წარმომადგენლების ურთიერთული დაახლოვების და უშუალო კონტაქტის ფაზა განსაკუთრებით ხაზგასასმელია. მშვიდობიანობის განმტკიცების და ორივე ერს შორის მეგობრობის განმტკიცების დარგში სამხედრო პირთა ვიზიტებს შეუძლიათ საუკეთესო ნაყოფი მოგვცენ" (ადს).

თავთუხების ზუმაში

ხან კომბაინთან ათენებს გარეთ,
ხან დატრიალებს
კალოებს გაშლილს.
ახლა შუაცთას მიადგა მთვარე,
მაგრამ არ ძინავს
ალავერდაშვილს.

—:—

შირაქში დაჭქრი
კაცი, რომელიც
ყამირს ალვიძებ
გმირობის დროში.
ხარ ამ ბრძოლაში დაუცხრომელი,
როგორც კალმახი სუფთა იორში.

—:—

გწვავს სიყვარული
კახური ზვარის,
გაქვს თავგანწირვის
ძალა, მხნეობა.
შენი ფიქრების აკვანი არის —
ოქროს მარცვალის მეურნეობა.

—:—

სივრცეს გაჰყურებ
ორბის თვალებით,
ღამითაც ზვერავ
ბრიგადებს მარტო.
მაღლით გინათებს
ცა, ვარსკვლავები,
წინ გიღელავენ ყანები ფართო.

—:—

შენ რიყრაჟიდან გიხდება რბენა,
შენი სახელი
ტრამალმაც იცის;
გესმის ძახილი, სუნთქვა და ენა
20 ათასი ჰექტარი მიწის.

შორის გეტარების ტკბილი ხმებია,
შორის იმღერიან
მუშა-ქალები.
უვლი მინდვრებს და გესალმებიან
თავწათიბული ნაპურალები.

—:—

ხალხს ის ვაჟკაცი ემახსოვრება
ვინც წინ მიდის და
სვლას არ ათავებს.
შენი გული და
მთელი ცხოვრება
დრომ ჩააბარა პურის თავთავებს.

—:—

გიმზერს ზღვასავით
გაშლილი ველი,
გისტვენს განჯიდან
მოსული ქარი.
ხარ თავთუხების
ერთგული მცველი
თავდავიწყების ბურანში მდგარი.

—:—

ნამჯის ზვინებიც ამბობენ გარეთ:
ნუ გეშინია
გეგმების ჩაშლის!
ვიდრე გომბორზე
მიწვება მთვარე
ღვიძავს ამხანაგ ალავერდაშვილს.

ვარლამ ჟურული

გულ-შირაქი.
1934 წ. 17 ივლისი.

სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა შესრულებულია

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, დაბალი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების გამოცემა უნდა დამთავრებულიყო პირველ აგვისტოსთვის, ხოლო მათი დაგზავნა ადგილებზე —15 აგვისტოსათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის უშუალო ხელმძღვანელობის და ყოველდღიური დახმარების, აგრეთვე მბეჭდავთა კავშირის ხელისშეწყობის წყალობით, საქგანსახკომმა და სახელგამმა, დაძლიეს რა მატერიალური მომარაგების ყველა სიძნელე და სუსტი მხარეები პოლიგრაფიისა, რომელიც ნამდვილად დამკვრელური ტემპებით მუშაობდა, სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა პირველ აგვისტოსათვის შეასრულეს: 1) სახელწოდების მხრივ 100 პროცენტით—გამოსცეს 29 სახელმძღვანელო დაბალი სკოლისათვის და 52 საშუალო სკოლისათვის; 2) სახელმძღვანელოების ტირაჟის მხრივ—გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით გეგმით გათვალისწინებულ 1.534.000 ეხზემპლარის მაგივრად გამოიცა 1.680000 ეკზემპლარი.

გამოცემული წიგნების ხარისხის მხრივაც გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები; მთელი ტირაჟიდან—1.680.000 ეგზემპლარიდან —მაგარ ყდებში გამოცემულია 755.000 ეგზემპლარი, მაშინ, როცა 1933 წელს ესევე სახელმძღვანელოები ყდებში გამოიცა 101.500 ეგზემპლარი, ე. ი. წელს გამოშვებულია 7 ჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

სახელმძღვანელოების გამოცემასთან ერთად, ისინი იგზავნებოდენ ადგილებზე, პირველყოვლისა შორეულ რაიონებში საამისოთ სიჩქარით. ამგვარად, განსახკომისა და სახელგამისათვის დაკისრებული დავალების მეორე ნაწილიც აგრეთვე ვადაზე იქნება შესრულებული, რადგან ყოველდღე ვაგზავნით 12 ტონას.

გიპატაკებთ რა ამას, განსახკომი და სახელგამი კისრულობენ ვალდებულებას არ შეანელონ აღებული ტემპები, ვადაზე დაამთავრონ სახელმძღვანელოების ბეჭდვა ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის და ამავე დროს გადაიყვანონ განთავისუფლებული პოლიგრაფიული ბაზა საბავშო, სამხატვრო და სხვა ლიტერატურის გამოცემაზე.

საქ. განათლების სახალხო კომისარი თათარაშვილი
საქ. სახელგამის გამგე ბიბინეიშვილი

ლიტვის გარეშე საქმეთა მინისტრი მოსკოვში

მოსკოვი, 1 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა ლიტვის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი ბ-ნი **ლოზარაიტისი** ცოლითურთ. მინისტრთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ლიტვის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი **ბალტრუშაიტისი**, გარეშე საქმეთა სამინისტროს კონსულტანტი ბ. **პეტკევიჩიუსი** და რეფერენტი ბ. **ნატკევიჩიუსი**. ამავე დროს მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში ამხ. **კარსკი**.

ბელორუსია-ბალტიის ვაგზალზე მათ შეხვდნენ: გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი ცოლით, გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები (ადს).

ბ-ნი სელიამაა გაემგზავრა ტალინოში

მოსკოვი, 31 ივლ. 31 ივლისს 10 ს. 30 წუთზე ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი სელიამაა ცოლით გაემგზავრა ტალინში. (ადს)

საფრანგეთის პრესა სელიამაას მოსკოვში ყოფნის შესახებ

პარიზი, 31 ივლ. მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობას და ესტონეთის საგარეო მინისტრის სელიამაას მოსკოვში ყოფნის და მისი ამხ. ლიტვინოვთან საუბრის შესახებ, აგრეთვე სელიამაას და ლატვიის მოსკოველი ელჩის ბილმანისის განცხადებას აღმოსავლეთის პაქტისადმი ესტონეთის და ლატვიის დამოკიდებულების შესახებ.

„ტელმანის დღეები" ჩეხო-სლოვაკიაში

პრაგა, 31 ივლისი. „ტელმანის დღეების" დროს, ნაწილობრივი აკრძალვის მიუხედავად, ასობით ჩატარდა მიტინგები ტელმანის განთავისუფლებისათვის. გერმანიის საელჩოში ასობით გაიგზავნა პროტესტები ტელმანის პატიმრობის წინააღმდეგ. გერმანიის მოსაზღვრე ყველა ქალაქსა და დაბაში ქუჩები და ფაბრიკები მორთული იყო ლოზუნგებით ტელმანის დასაცავად.

ბრიუქსოვის მაღაროელებმა გერმანიაში ველოსიპედებით გაგზავნეს დელეგაცია, რომელსაც ხელუფალთათვის უნდა გადაეცა ჩეხო-სლოვაკიის მუშების პროტესტი ტელმანის პატიმრობის წინააღმდეგ. დელეგაცია გამოცხადდა გერმანიის პირველი დამბი-საიდის (საქსონია) პოლიციის სამმართველოში, სადაც მან პოლიციის უფროსს გადასცა პროტესტი (ადს).

ხმები ტორგლერის სიკვდილის შესახებ

პარიზი, 31 ივლისი. გავრცელდა ხმები, რომ ტორგლერი კამერაში მკვდარი იპოვეს. „რეპუბლიკის" მიერ მიღებული უკანასკნელი ცნობებით გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო გადაჭრით უარყოფს ამ ხმებს და აცხადებს, რომ ტორგლერი ცოცხალია და, როგორც წინად იმყოფება ტეგელის საპყრობილეში (ადს).

ფაშისტური პრესა შეშფოთებულია

აღმოსავლეთ ევროპის პაქტის იდეის წარმატებით

ბერლინი, 30 ივლისი. ბეკის ტალინსა და რიგაში ყოფნის დროს პრესას იმედი ჰქონდა, რომ ბეკი მოლაპარაკებებს ლატვიასა და ესტონეთთან შედეგად მოყვებოდა აღმოსავლეთ ევროპის პაქტის ჩაშლა. ახლა, ათავსებენ რა ცნობას, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სელიამაას მოსკოვში დარბაზობის და პოლონეთის სამხედრო ფლოტის წარმომადგენლების ლენინგრადში ჩასვლის შესახებ, გაზეთები უკვე შიშობენ, ხომ არ მოყვება ამას შეთანხმება საერთო ხაზის შესახებ. აღმოსავლეთ ევროპის პაქტის მიმართ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის და ბალტიის ქვეყნების მხრით.

„ბერლინერ ბერზენცეიტუნგი" სათაურებში ლაპარაკობს „გადაჯგუფების ნიშნებზე ახლო აღმოსავლეთში" და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვებაზე. ათავსებს რა ოფიციალურ ცნობას სელიამაასა და ლიტვინოვს შორის გამართულ მოლაპარაკების და სელიამაას და ლატვიის მოსკოველი ელჩის ბილმანისის განცხადების შესახებ, გაზეთი ამ ცნობას აფასებს, როგორც „მოსკოვის და რეველის შეხედულებათა ერთიანობას აღმოსავლეთის [illegible] საკითხში (ადს).

შუბლმაგრები მოითხოვენ სამხედრო-საჰაერო ფლოტის გაძლიერებას

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 30 ივლისი. ლეიბორისტულმა ოპოზიციამ თემთა პალატაში შეიტანა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი, ვინაიდან იგი წინააღმდეგი მთავრობის განზრახვის, რომ გადიდებულ იქნას სამხედრო-საჰაერო ფლოტი. ბოლდუინმა, რომელიც მაკდონალდის არყოფნის გამო, პრემიერის მოვალეობას ასრულებს, განაცხადა, რომ მთავრობის წინადადება საჰაერო ძალების გადიდების შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სხვა დიდ სახელმწიფოთა ფლოტებთან პარიტეტის მისაღწევად.

დასასრულ ბოლდუინმა განაცხადა, რომ „მას შემდეგ, რაც ჰაერი დაპყრობილია, ინგლისის საზღვრები გადის არა დუვრზე, არამედ რეინზე".

ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ გერმანიამ, ხელშეკრულებათა მიუხედავად, შექმნა სამხედრო ავიაცია, რომელიც თავისი სიმძლავრით ინგლისის სამხედრო-საჰაერო ფლოტის თითქმის ორმესამედს უდრის და რომ გერმანიის სამოქალაქო საჰაერო ფლოტი 3—4-ჯერ აღემატება ინგლისის სამოქალაქო ავიაციას, ამასთან სამოქალაქო თვითმფრინავები ისეთი ანგარიშით შენდება, რომ ომის შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდეს მათი სამხედრო თვითმფრინავებად გადაქცევა.

ლიბერალების წარმომადგენელმა სემუელმა განაცხადა: „აღნიშნავენ, რომ ინგლისის საჰაერო შეიარაღება გამოწვეულია საბჭოთა საჰაერო ძალების ზრდით. საბჭოთა ავიაციის ზრდის მიზეზები, — თქვა სემუელმა, — ყველასათვის კარგად ცნობილია. საბჭოთა კავშირი ადიდებს თავის ავიაციას, რომ გააქარწყლოს თავისი შორეულ აღმოსავლეთის მეზობლის აგრესიული ზრახვები. „რაღა უნდა გვექნა ჩვენ, — დასძინა სემუელმა, — ასეთივე პირობებში? იგივე. მაგრამ იქედან, რომ იაპონია და საბჭოთა კავშირი თავის საჰაერო ძალებს ადიდებენ, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ მათ უნდა შევეჯიბროთ."

სემუელმა აღნიშნა, რომ არ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავდეს სამოქალაქო ავიაციის განვითარებას გერმანიაში, და ამიტომ გერმანიას, ალბათ, აქვს ყველაზე უფრო დიდი სამოქალაქო საჰაერო ფლოტი ევროპაში. სემუელმა განაცხადა, რომ სამოქალაქო თვითმფრინავებს, თუ მათ გააჩნიათ მოქმედების სათანადო რადიუსი, ტვირთწევა და ამასთან დიდი სიჩქარე, შეუძლიათ გადაზიდონ ყუმბარები, ისე როგორც ისინი ეზიდებიან მგზავრებს და ბარგს, და ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ ყოველ სახელმწიფოს საჰაერო ძალების შეფასებისას.

ლეიბორისტების მიერ შეტანილი უნდობლობის ვოტუმი უარყოფილ იქნა 404 ხმის უმრავლესობით 60 ხმის წინააღმდეგ (ადს).

დ. დემეტრაძე

დაკარგული იმედები

(გ. შატბერაშვილის ლექსის გამო „წერილი ახალგაზრდობას")

ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურაშიაც პოულობს თავის გამოხატულებას. თუ წინა ეტაპზე კლასობრივი მტერი მხატვრულ ლიტერატურაში აშკარად გამოდიოდა პროლეტარული პოზიციების წინააღმდეგ, დღეს იგი უკვე იცვლის თავის ბრძოლის ფორმებს. დღევანდელ პირობებში კლასობრივი მტრის ბრძოლის მეთოდები ფარულია და მეტად მოქნილი. იგი ნიღაბაფარებული გამოდის.

ჩვენი კრიტიკის ძირითადი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ თავის დროზე ამხილოს კლასობრივი მტრის ახალი მანევრები, ნათლად გვიჩვენოს მთელი ამ ბრძოლის მიმართულება და მთავარი ვეზი. ჩვენში მეტად მცირეა იმ მწერალთა რიცხვი, რომლებიც პროლეტარიატისადმი აშკარად მტრულ კლასობრივ პოზიციებზე იდგნენ. რამდენადაც სულ უფრო და უფრო ისპობა ჩვენს ქვეყანაში მათი მასაზრდოებელი მატერიალური ბაზა, იმდენად მეტის სისწრაფით მცირდება ასეთ მწერალთა რიცხვი, უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდება მათი ხვედრითი წონა.

ჩვენ გვაინტერესებს თანამედროვე ლიტერატურული სინამდვილის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პროცესი. ის არის საკითხი ლიტერატურაში შემოსულ ახალგაზრდა მწერალთა სოციალური ძირების შესახებ. ეს ახალი საკითხი მთელი სიმწვავით დგას საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. საბჭოთა მწერლობის რიგებს შემატა მშრომელთა წრიდან მთელი რიგი ახალგაზრდა ნიჭიერი ძალებისა. მათი შემოქმედებითი აქტივობა დღითი-დღე იზრდება. ის მხატვრული პროდუქცია, რომელსაც ახალგაზრდა კადრები იძლევიან მაჩვენებელია, იმისა, თუ რამდენად მათი შემოქმედებითი მომწიფების, დაოსტატების პროცესი სწრაფად ვითარდება. ბუნებრივია, რომ გაშლილმა სოციალისტურმა მშენებლობამ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაუხსნა გზა მშრომელთა მასების შემოქმედებით ძალებს, ძირითად აწია მათი საზოგადოებრივ-კულტურული დონე.

ჩვენ კრიტიკას ჯერ კიდევ არ მოუხდენია სერიოზული ანალიზი იმ დამახასიათებელი ტენდენციების, რომელთაც ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებაში აქვთ ადგილი. ჩვენ ერთ გარემოებას გვინდა ხაზი გაუსვათ. სახელდობრ იმას, რომ ჯანსაღი, იდეურად მტკიცე ფენებთან ერთად, ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაში ვხვდებით ხოლმე ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც ხშირად მერყეობენ, შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოხატავენ კლასობრივად უცხო გავლენებს, განიცდიან კულაკური იდეოლოგიის დაწოლას. განსაკუთრებით აქ ისმება ჩვენი კრიტიკის წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა: გაარკვიოს დამახასიათებელი პროცესები, გვიჩვენოს თუ როგორ განწყობილებებს გამოხატავენ, რა თავისებურებებს შეიცავს მათი შემოქმედება და სხვ. ამ საკითხების თავის დროზე გარკვევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის სწორი გზით განვითარებისათვის.

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ-ერთი ახალგაზრდა კომკავშირელი პოეტის ნაწარმოებზე. ეს არის **გ. შატბერაშვილის** ლექსი —„წერილი ახალგაზრდებს", რომელიც დაიბეჭდა „სალიტერატურო გაზეთის" უკანასკნელ ნომერში (№ 14), ეს ლექსი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გამოხატავს კლასობრივად უცხო განწყობილებებს, ანვითარებს ჩვენს ახალგაზრდობაზე მავნე შეხედულებებს და საერთოდ განცდათა ისეთ კომპლექსს იძლევა, რომელიც არ შეიძლება კომკავშირელი მწერლისათვის იყოს დამახასიათებელი.

გ. შატბერაშვილს ყოფნის გამბედაობა, გაუმართლებელი პრეტენზიით მიმართოს ახალგაზრდობას წერილით. აი რას ვკითხულობთ ამ ლექსის სახით დაწერილ წერილში:

> **„დავდივართ ქვეყნად... ასე შევხვდით ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს და ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს შევხვდებით სადმე დიდ მომავალში"** (ხაზი ჩვენია. დ.)

დამახასიათებელია, რომ მთელი ლექსის მანძილზე ლაპარაკი, მხოლოდ გაურკვეველ „დიდ მომავალზე", თითქოს ჩვენი ახალგაზრდობის აწმყო, დღევანდელი დღე არ იყოს ღირსშესანიშნავი, დიადი თავისი გმირული ბრძოლით ახალი ქვეყნის შენებისათვის ის, რაც სიყრმის დროს შატბერაშვილს ეხატებოდა, ცხოვრებამ არ გაამართლა:

> გზა გაშლილია არა ვარდების,
> არა დაფნების, როგორც ოდესღაც
> ხატავდა სიყრმის შარავანდედი!

რატომ არ არის ჩვენი ახალგაზრდობის გზა სიხარულის, ენტუზიაზმის გზა? შეიძლება „სულით" ამგვარ ახალგაზრდას, როგორიც თვით ავტორია, რაღაც ფარული კაეშანი აწუხებს, არ გაუმართლდა იმედები, მაგრამ რა შუაშია აქ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობა?

> „ჩვენ ვართ ფერები—გაზაფხულის ჟამს
> ცაზე გაჩენილ ცისარტყელების.
> ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ ნიშანს,
> ვინც მიგვიძღოდნენ გზაზე ხველებით
> ვინც სახრჩობელას არ დაერიდა
> და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს"..

გ. შატბერაშვილი მთელი ლექსის მანძილზე ცდილობს დამალოს და არ გახსნას მისამართი იმათი, ვინც მიუძღოდა „სულით მისგვარ ახალგაზრდებს" გზაზე ხველებით, რა „გმირულ ნიშანს" აედევნენ ისინი. ლექსის შინაგანი მოტივები, ავტორის ფარული მწუხარება აშკარად ხდის, რომ ეს „გმირული ნიშანი", ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის ნიშანი არ არის. უდაოა, რომ ამ ლექსში, შატბერაშვილი ძალიან „მაგრად" გამოხატავს კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნაშთების სევდას „სხვა მომავალზე".

საქმე იმაშია, რომ მთელი ბუნდოვანება ლექსში, ჯამბაზური ქანაობა ორ უკიდურეს წერტილს შორის, საუკეთესო მაჩვენებელია, თუ როგორ ეს მტრული ძალების ნამსხვრევები გველაპარაკებიან დღეს დაფარული, ორაზროვანი ენით და ნიღაბაფარებულნი იჭრებიან ჩვენს პრესაში.

აი კიდევ ნიმუში სულით შატბერაშვილისებური ახალგაზრდების გოდებისა:

> „კატორღის გზებზე.., ციმბირის გზებზე,
> სადღაც ნაპოვნი, გამხმარი ქალა—
> ჩვენ შემოგვცქერის....
> ვერდებით დიდხანს,
> მისი თვალები ჯერ არ ჩამქრალან...
> იქნებ იმედის ახარებს შუქი,
> შემორჩენილი ვით ბედის წერა.
> რომ არა ერთი მგზავრი ჰაბუკი
> მისი თვალებით დაიწყებს ცქერას!
> . . . . .
> და ვით ფარვანა სინათლის ირგვლივ —
> შემოვკრებთ თვალებს მიზნის გარშემო,
> რომ გამოვიხმოთ თქვენი აჩრდილი,
> დიდო მომავლის გარიჟრაჟებო!

გ. შატბერაშვილი უხმობს განადგურებულ მტრულ ძალთა აჩრდილებს და მათ მომავლის აჩრდილებად სახავს. განა შეიძლება კომკავშირელმა პოეტმა ასეთი ენით სწეროს? აი ამიტომ დავაყენოთ ჩვენ საკითხი ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის სოციალური ძირების შესახებ.

შემთხვევით არ არის ის მეტად დამახასიათებელი მომენტი, როცა კულაკი ზოგჯერ ჩვენს ლიტერატურაში წარმოდგენილია, როგორც უაღრესად ტრაგიული ფიგურა, რომლის სულიერი ტანჯვის გადმოცემაზე განსაკუთრებული გულმოდგინეობით მუშაობს ზოგიერთი მწერალი. კულაკური სამყარო გახსნილია მთელი სისრულით, მაშინ, როდესაც დადებითი გმირები, ერთგვარ ფონს წარმოადგენენ ან სქემატიურად, განყენებულად არიან მოცემულნი.

გ. შატბერაშვილის დაფარული სევდა, ტრაგიული მოტივები ეს არის უსათუოდ კულაკობის აგონიის გამოხატულება.

ჩვენი ბრძოლა კულაკური აგენტურის წინააღმდეგ, წარმოებული იქნება მთელი სიმკაცრით.

უსათუოდ შეცდომა იყო ამ ლექსის გამოქვეყნება. ამავე დროს კი მან გახსნა, როგორც თავშივე აღვნიშნე მეტად დამახასიათებელი პროცესები. ჩვენს ლიტერატურაში. გულმოდგინედ უნდა შევამოწმოთ ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალთა სახე, გავარკვიოთ მათი სოციალური ძირები და თავის დროზე გაბედულად ვამხილოთ ის მავნე ტენდენციები, რომელთაც ისინი გამოხატავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ. ა. ს. ს-ის ამუშავების წინ

—

დაიწყო კაბელების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება

გუშინ, საკავშირო მთავრობის კომისიამ, რომელიც გამოყოფილია ტფილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის ნაგებობათა მისაღებად, დაიწყო მუშაობა სადგურის დანადგარების და აპარატურის მისაღებად.



კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით დაიწყო სატელეფონო კაბელების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება. მონტიორებისა და სატელეფონო ქსელის მექანიკოსების ჯგუფები დადიან უბნებში სატელეფონო კაბელების განმანაწილებელ განჯინების შესამოწმებლად. შემოწმების დროს იშინჯება თვითეული აბონენტის კაბელი, რომლითაც ხდება ტ. ა. ს. ს.-ის ცენტრალურ სადგურთან შეერთება და საცდელი დალაპარაკება.

სურათზე: კაბელების განმანაწილებელი განჯინის შემოწმება.

* * *

გამოხმაურება გამოუქვეყნებელ წერილებზე

—

გოგიაშვილი მოხსნილია თანამდებობიდან

„კომუნისტის" რედაქციამ მიიღო წერილი, რომელიც ეხებოდა თელავის რადიოგადაცემის რწმუნებულ **სურენ გოგიაშვილის** საქმიანობას. გოგიაშვილი თავის მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებდა, სახელმწიფო თანხებს უთავბოლოდ ხარჯავდა, ითვისებდა ამანათებს და უკანონოდ ხსნიდა თანამშრომლებს.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა სახქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციის და რადიოგადაცემის კომიტეტს. ეს უკანასკნელი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ბრალდებები დადასტურდა, რისთვისაც **გოგიაშვილი** მოიხსნა თანამდებობიდან და გადაეცა პარტსაბჭოთა კონტროლის კომისიის პასუხისგებაში მისაცემად.

ზახარია მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში

„კომუნისტის" რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ხოფ. მუხურის (ჩხოროწყუს რაიონი) საფუტკრის გამგე **ზახარია** გულგრილად ეკიდება მაზედ დაკისრებულ მოვალეობას.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გადუგზავნა საქ. მიწსახკომის საქმეთა მმართველს. ეს უკანასკნელი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, რისთვისაც **ზახარია** მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ბიბლიოგრაფია

—

„ეკონომიური გეოგრაფიის ქრესტომატია".

შედგენილია **თავართქილაძის** მიერ რ. მელაძის წინასიტყვაობით, გამოცემა 1933 წ. ტირაჟი 10.000, ფასი 4 მან.

ქართულ ენაზე ეკონომიური გეოგრაფიის კრებულის გამოცემა ამხ. რ. მელაძის ინიციატივით უთუოდ გამართლებული ნაბიჯია. ეს პირველი ცდაა ქართულ ენაზე ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი თეორიული საკითხების გაშუქებისა მარქსიზმის კლასიკოსების შრომებისა და მათი იდეების სწორი პოპულიარიზაციის საფუძველზე.

1-ლი თავი მიძღვნილია შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისადმი. ამ თავში შეჯამებულია მასალა შრომის ტექნიკური და საზოგადოებრივი დანაწილების, სპეციალიზაციისა, გეოგრაფიულ გარემოსა, კაპიტალიზმის არა თანაბარი განვითარების კანონისა და მსოფლიო მეურნეობის შესახებ. 1-ლ თავში ერთი საკითხია უგულებელყოფილი: საზოგადოებრივი შრომის დანაწილების პრობლემა იმპერიალიზმის ეპოქაში. მე-2 თავი ეხება იმპერიალიზმისა და კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო კრიზისს. ამ თავში კოლონიების შესახებ შერჩეულია ძვირფასი მასალა მარქსის, ლენინის და სხვათა შრომებისა და კომინტერნის დოკუმენტების სახით, კოლონიალური სისტემა თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში, თავისუფალი კონკურენციის ეპოქა და კოლონიალური პოლიტიკა, მსოფლიოს განაწილება, კოლონიალური მონოპოლიები, მონოპოლიები და ბრძოლა კოლონიებისათვის, კოლონიალური ეკონომიკისა და იმპერიალისტური კოლონიალური პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშნები, დეკოლონიზაციის თეორიის წინააღმდეგ — აი კოლონიალურ საკითხთა ის რიგი, რომელთაც კრებულში მოყვანილი მასალა აშუქებს.

ამ თავის ნაკლია ის, რომ მასში შეტანილი არ არის კომინტერნის მე-2 კონგრესის მასალები.

კარგი იყო კოლონიალური რეჟიმის შესახებ უფრო მეტი კონკრეტული მასალა შერჩეულიყო, განსაკუთრებით ის ადგილები კომინტერნის მე-6 კონგრესის მასალებიდან, რომლებიც იძლევიან იმპერიალისტური კოლონიალური პოლიტიკის შედეგების საზარელ სურათს, ადგილობრივი მოსახლეობის უუფლებობისა, კატორღული შრომისა, ზღაპრული სიღარიბისა, სამუშაო ხელფასის წარმოუდგენლად დაბალი დონის, კაპიტალისტურ მეწარმეთა რეპრესიებისა და სიმხეცეთა სურათს.

შემდეგ გამოცემაში საჭირო იქნება მეტი ილუსტრაციების მოყვანა კოლონიალური მოსახლეობის შეუდარებლად სასტიკი დამონავების პოლიტიკისა, კოლონიალური ძარცვისა და აუტანელი კოლონიალური რეჟიმის შესახებ.

კრებულში გაკრიტიკებულია როის დეკოლონიზაციის მავნებლური, მოღალატური თეორია. ქრესტომატიაში მოყვანილი მასალები ცხადყოფენ სოციალ-ფაშისტების იმ უსირცხვილო სილაყბეს, რომ იმპერიალიზმი „ზრდის ჩამორჩენილ ქვეყნებს კეთილდღეობისა, პროგრესისა და კულტურისათვის". მაგრამ მათი სპეციალური, ცალკე გამოყოფილი კრიტიკა აუცილებელი იყო. სოციალ-ფაშისტები მედგრად იცავენ დეკოლონიზაციის თეორიას, წარმოადგენენ ყველაზე უსირცხვილო აპოლოგეტებს იმპერიალისტურ პოლიტიკისას კოლონიებში, ისინი ბურჟუაზიულ, რადიკალურ მოსაზრებათა მარჯვნივ დგანან ამ შემთხვევაში.

კარგი იყო იქ, სადაც მოყვანილია მარქსის კაპიტალიდან ციტატი გეოგრაფიული გარემოს შესახებ (გვ. 20) გაკრიტიკებული ყოფილიყო პლეხანოვის შეცდომები ამ საკითხებში — „გეოგრაფიული მატერიალიზმი" და სხვ. ეს ქრესტომატიას არსებითად არც თუ ისე გაზრდიდა. შემდგომ გამოცემაში სათანადოდ უნდა ისარგებლონ სტალინის შრომით ნაციონალურ კოლონიალურ საკითხზე.

მე-3 თავი ეხება ორი სისტემის ბრძოლას, ხოლო დანარჩენი ნაწილი ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენ ვფიქრობთ, ქრესტომატიის მეორედ გამოცემის დროს უკეთესი იქნება თეორიული ნაწილი გამოიცეს ცალკე წიგნად და მასში შევიდეს ეკონომიური გეოგრაფიის ისეთი ძირითადი თეორიული საკითხები, როგორიცაა: დარაიონება და სპეციალიზაციის პრობლემა, საწარმოო ძალთა განაწილების მარქსისტული თეორია, ეკონომიურ გეოგრაფიაში არსებული ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა და ის მასალა, რომელიც მოთავსებულია ხსენებული ქრესტომატიის თეორიულ ნაწილში.

ქრესტომატიაში აქა-იქ გვხვდება ტერმინოლოგიის სიჭრელეც. მაგ. Закон неравномерного развития капитализма ითარგმნება ხან არათანასწორზომიერ განვითარების კანონად, ხან კი არათანაბარი განვითარების კანონად (იხ. გვ. 136). თუ ტერმინი ჯერ დადგენილი არ არის, ქრესტომატიაში მხოლოდ ერთი მათგანი უნდა იხმარებოდეს. წიგნში საკმაოდ მოიპოვება კორექტურული შეცდომებიც, თარგმანი დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული.

გ. მეგრელიშვილი.

ყაზბეგის მუზეუმი

სოფ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა მოაწყო და გახსნა მხარეთმცოდნეობის და ისტორიული მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია ყაზბეგების ყოფ. სასახლეში. მუზეუმთან ეწყობა პროლეტარული ტურიზმისა და გეოგრაფიული საზოგადოების კუთხეები, სპეციალური დარბაზი მთასვლელობის ისტორიის და მახასიათებელი მასალების გამოსაფენად და საქართველოში ალპინისტური მუშაობის გასაშუქებლად.

მუზეუმთან შექმნილია ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის დარბაზები. ამ დარბაზებში ეწყობა ამ კლასიკოსების დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ნაწარმოებების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი ხელთნაწერები, ძველი გამოცემები და ის გამოცემები, რომლებიც გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამავე დარბაზში გამოფენილი იქნება ის ნივთები, რომლებიც ეკუთვნოდენ აღნიშნულ მწერლებს. ამ ნივთების შესაგროვებლად მუზეუმმა უკვე მიიღო ზომები.

გარდა ამისა მუზეუმთან ეწყობა სპეციალური დარბაზი, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ის რუსი კლასიკოსები, რომლებსაც დაწერილი და გამოქვეყნებული აქვთ ნაწარმოებები კავკასიის შესახებ (ალ. პუშკინი, ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი, ა. გრიბოედოვი, მაქსიმ გორკი, ალ. მარლინსკი და სხვ.). აქვე წარმოდგენილი იქნებიან უცხოელი მწერლებიც (კნუტ ჰამსუნი, ალ. დიუმა) კავკასიაში მათი ყოფნის დამახასიათებელი მასალებით.

მუზეუმთან ეწყობა მუდმივი სამხატვრო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ცნობილი მხატვრების — მ. ვრუბელის, ე. ლანსერეს, ნ. ფიროსმანის, . ოსტროუმოვისა, გ. გაბაშვილის, ლ. გუდიაშვილის და თანამედროვე ახალგაზრდა მხატვრების სურათები.

მუზეუმთანვე ეწყობა მოხევეების, ფშაველების, თუშების, ხევსურების, ოსების, ლეკების და კავკასიის მთიელთა ყოფაცხოვრების შემსწავლელი კაბინეტები.

სურათზე: მარცხნივ — სოფ. ყაზბეგი და მყინვარი. შუაში — ალ. ყაზბეგის ძეგლი. მარჯვნივ — ყაზბეგების ყოფ. სასახლე, სადაც გახსნილია მუზეუმი.

ტფილისში, ზაფხულის პერიოდში დარჩენილი მოსწავლე ახალგზრდობა მიმაგრებულია საცხოვრებელი რაიონების მიხედვით მუშათა კლუბებზე, სადაც ისინი გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ატარებენ დღეებს საზაფხულო ბაღებში, აწყობენ გასართობებს და სხვ. მუშათა კლუბებზე მიმაგრებულ მოსწავლეთაგან გამოყოფილი არიან აკადემიურად ჩამორჩენილი ბავშვთა ჯგუფები, რომელთაც მიჩენილი ჰყავთ ხელმძღვანელები საგნების გასამეორებლად.

ვოროშილოვის სახ. მუშათა კლუბზე წელს ზაფხულის სეზონისათვის მიმაგრებულია 228 ბავშვი, უმეტესად პიონერები. მათთვის მოწყობილია ფიზკულტ. მოედანი და გასართობი კუთხეები. 30 პიონერი ერთიმეორეს ეჯიბრება აგვისტოს განმავლობაშივე შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის ნორმების ჩაბარებაზე.

სურათზე: მე-72 შრომის სკოლის მოსწავლე ქალი, პიონერი ისშიანი აბარებს შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის ნორმებს (საფაზნე ყუთის გადატანა).

დაზგის მუშები საუკეთესო ფიზკულტურელები

—

საწარმოებთან მუშათა საფიზკულტურო წრეების სახელმძღვანელო ლოზუნგია —„ყოველ დაზგის მუშა საუკეთესო ფიზკულტურელი უნდა იყოს". ამ ლოზუნგმა დიდი გამოხმაურება პოვა საორთქლმავლო-სარემონტო ქარხნის მუშებში, რომლებმაც ამას წინად ლენინის სახ. სტადიონზე ჩაატარეს საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა.

სპარტაკიადაში 400-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. სირბილში შეჯიბრებისას პირველი ადგილები გაინაწილეს— ამავე ქარხნის საიარაღო საამქროს მუშამ ამხ. ზარატუიკომ და დათაშვილმა, რომლებმაც 100 მეტრი მანძილი გაირბინეს სარეკორდო ხანში (12,2 წამი). 60 მეტრზე სირბილში ქალებისათვის პირველ ადგილზე გამოვიდა კუპრაშვილი.

სურათზე: საორთქლმავლო სარემონტო ქარხნის დამკვრელი მუშები, საუკეთესო ფიზკულტურელები, რომლებმაც საქარხნო სპარტაკიადის დროს პირველი ადგილები დაიკავეს სხვადასხვა ფიზკულტ. შეჯიბრებაში.

* * *

ტფილისელი ექსკურსანტები ერევანში

ერევნიდან მიღებულ ცნობით, ტფილისიდან იქ ჩავიდა ექსკურსანტების ჯგუფი რომელშიაც შედის პედაგოგიურ ტექნიკუმის 16 სტუდენტი. ექსკურსანტები გაეცნენ ერევნის ფაბრიკა-ქარხნებს, კომბინატის მშენებლობას. ესტუმრენ ქალაქის მუზეუმს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. ხოლო შემდეგ გაემგზავრენ სევანზე. [illegible] ექსკურსანტები [illegible] საფეიქრო კომ[illegible].

კარგი შეფის დროული დახმარება

—

— სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ერთდროულად შესრულების აუცილებლობამ ჩვენს კოლმეურნეობაში მუშახელის ნაკლებობა შექმნა. ახლა საჭიროებთ თქვენს დახმარებას, მოგვეშველეთ, თორემ დაგვეღუპება მოსავლის ნაწილიო, — ასე მიმართეს კახიანის სახ. კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა თავიანთ შეფს საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს ბანაკის ხელმძღვანელობას.

შეფი გაუძღვა კოლმეურნეობის დასახმარებლად. გაუთოხნეს 1 ჰექტარი პამიდორი და გაუმარგლეს 2 ჰექტარი სიმინდი. დანაკარგებთან მებრძოლმა ბრიგადამ პურის თავთავი 4 ჰექტარ ნამკალზე მოაგროვა. საბძელში შეიტანეს 200 ფუთი ბზე და სხვ.

ეს მოხდა 30 ივლისს.

შაბათობის შემდეგ გამართულ სახელდახელო მიტინგზე კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს თავის შეფს და იკისრეს ბანაკის მომარაგება სასურსათო პროდუქტებით მთელი საბანაკო პერიოდის განმავლობაში (საქინფორმ.).

* * *

სტალინირში გახსნილია

ა.-კ. გზათა მიმოსვლის საინჟინერო ინსტიტუტის ფილიალი

—

ა.-კ. გზათა მიმოსვლის საინჟინერო ინსტიტუტმა — სტალინირში მუშა-ტექნიკოსებისათვის გახსნა უმაღლესი განათლების ნახევრად დაუსწრებელი ფილიალი, რომელიც მსმენელებს წარმოებიდან მოუწყვეტლივ მოამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებად.

აღნიშნულ ფილიალის ჩამოყალიბების ინიციატივა ეკუთვნის ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს, რომელმაც [illegible] გახსნა კურსები.

ა.-კ. გზათა მიმოსვლის საინჟინერო ინსტიტუტის ფილიალში მსმენელებად ჩარიცხულები არიან ადგილობრივი (ელ.-დეპოს და ენერგომომარაგების) ტექნიკოსები, სულ 45 კაცი.

* * *

ჭადრაკი

ალიოხინის გამარჯვება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე

—

ბერლინი, 30 ივლისი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ციურიხში დასრულდა. გაიმარჯვა ალიოხინმა, რომელმაც შეაგროვა 13 ქულა, ეივემ და ფლორმა — 12 ქულა თითოეულმა, ბოგოლიუბოვმა — 11½, ლასკერმა—10, ბერნშტეინმა და ნიმცოვიჩმა — 9 ქულა თითოეულმა. შტალბერგმა —8, იონერმა — 6½, გენებერგერმა — 5½, გიოგლიმ—5, როსელიმ — 4, გრომშა და მიულერმა — 4 თითოეულმა, ნეგელიმ—3 და სოსტმა—2 ქულა (ადს).

თავდაცვა-ავიაქიმის თვითმფრინავები სააგიტაციო გადაფრენაში

—

საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტური დღის აღსანიშნავად და საბჭოთა ავიაციის დღესასწაულის —18 აგვისტოსათვის მშრომელების ხელის შესაწყობად საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ტფილისის აეროკლუბმა მოაწყო საკუთარი თვითმფრინავების საგიტაციო გადაფრენა. გადაფრენაში ორი თვითმფრინავი მონაწილეობს.

30 ივლისს თვითმფრინავები გაფრინდენ ტფილისიდან ქუთაისისაკენ, სადაც მონაწილეობა მიიღეს რიონჰესის გახსნის ზეიმზე.

ქუთაისიდან თვითმფრინავები გაფრინდებიან ქალ. ენუქიძეში და შემდეგ მესტიაში (სვანეთი), სადაც პირველად დაეშვება მიწაზე თვითმფრინავი.

გადაფრენაში მონაწილეობენ პილოტები ნ. ჯიბლაძე და გ. გაგოშიძე, კინო-ოპერატორი — ვ. კალოსანიძე, ტფილისის საავიაციო სკოლის ინჟინერი ა. ნიკურაძე და გადაფრენის უფროსი ამხ. ა. ენუქიძე.

სურათზე: რიონჰესის საზეიმო გახსნის გადაღება კინოსთვის. გადაფრენის მონაწილე ერთ-ერთი თვითმფრინავიდან. (სურათი გადაღებულია მეორე თვითმფრინავიდან).

* * *

თათბირი

„კომუნისტის" რედაქციაში

—

დღეს, საღამოს 8 საათზე „კომუნისტის" რედაქციაში შესდგება მწერალთა საქ. ყრილობაზე საქ. საბჭ. მწერალთა კავშირის დელეგაციის და მწერალთა აქტივის გაფართოებული თათბირი მწერალთა საქ. ყრილობის საკითხებზე. უნდა დაესწრონ მწერლები:

მიხ. ჯავახიშვილი, ბ. ჟღენტი, ნ. მიწიშვილი, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, პ. საყვარელიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ირ. აბაშიძე, მარიჯანი, დ. შენგელაია, პ. ჩხიკვაძე, კ. ლორთქიფანიძე, დ. დემეტრაძე, ს. ეული, შ. დუდუჩავა, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ს. თალაკვაძე, ს. კლდიაშვილი, რ. ვვეტაძე, ა. ქუთათელი, ვ. გორგაძე, მაშაშვილი, კ. კალაძე, გალ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, ი. მოსაშვილი, კ. ბობოხიძე, შ. რადიანი, ბ. ჩხაიძე, გ. ბუხნიკაშვილი, პ. სამსონიძე, ა. ჭუმბაძე, ა. არსენიშვილი.

ხელოვნება

საქ. სახ. ეთნოგრაფიული გუნდი მიემგზავრება ბაქოში

—

საქ. სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდმა (კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით) დაამთავრა კონცერტების ციკლი საქართველოს კურორტებზე და დღეს მიემგზავრება ბაქოში ორი კვირით.

გუნდის გამგზავრების მიზანია საქართველოს ხალხური ეთნოგრაფიული სიმღერების გაცნობა აზერბეიჯანის და კერძოდ ბაქოს მშრომელებისათვის. ბაქოში გუნდი გამართავს კონცერტებს ნავთის სარეწაოებზე და მუშათა უბნებში.

* * *

ეთნოგრაფიული გუნდი საქართველოს კურორტებზე

23 ივლისს, ბორჯომის დასასვენებელ სახლში, მოეწყო საქართველოს განსახკომთან არსებული ეთნოგრაფიულ გუნდის კონცერტი კ. პაჭკორიას მეთაურობით. კონცერტს დაესწრნენ ამხ. ფილიპე მახარაძე და გ. დიმიტროვი დედითა და დით. კონცერტის საუკეთესო ჩატარებისათვის ამხ. ფ. მახარაძემ მადლობა გამოუცხადა პაჭკორიას და კონცერტის მონაწილეებს.

24 ივლისს აღნიშნული გუნდის კონცერტი გაიმართა პატარა ცემში, განსახკომის მიერ მოწყობილ ბავშვთა ბანაკში.

იმავე დღეს წაღვერში, საქ. პროფსაბჭოს დასასვენებელ სახლში გაიმართა აღნიშნული გუნდის დიდი კონცერტი. კონცერტს 2.000-მდე მაყურებელი დაესწრო. გუნდმა შეასრულა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები და ცეკვა. მონაწილეობდენ კახეთის, გურიის, სამეგრელოს ხალხური სიმღერების შემსრულებელნი.

საუკეთესოდ შეასრულეს მეგრული, აფხაზური, რაჭული, გურული, კახური, აჭარული სიმღერები და ცეკვა-თამაში.

გუნდი სეზონის პერიოდში ასეთ კონცერტებს მოაწყობს საქართველოს სხვადასხვა კურორტზე.

* * *

ქრონიკა

—

გამოფენა

2 აგვისტოდან სრ. საქართველოს ხუროთმოძღვრების კავშირი (რუსთაველის № 10) აწყობს „საქ. სახ პროექტის" და კურორტმშენის ნამუშევრის გამოფენას.

გამოფენა ღია იქნება: დილის 11 საათიდან. 4 საათამდე და საღ. 7-დან—11 საათამდე.

განმარტება

—

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი

1934 წ. ივლისის 27

საფაბრიკო - საქარხნო სკოლების მოწაფეთა შვებულების ხანგრძლივობის შესახებ

გასაუქმებლად ა.-წ. ივლისის 5-ს თარიღით „საფაბრიკო - საქარხნო სკოლების მოწაფეთა სკოლების შვებულებების შესახებ" გამოცემული განმარტებისა, საქართველოს ს.რ. პროფკავშირთა საბჭო განმარტავს, რომ თანახმად საკავშირო პროფსაბჭოს ა.-წ. ივლისის 19-ის გადაწყვეტილებისა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოწაფეთა შვებულებების ხანგრძლივობა დაწესებულია შემდეგი:

1. მოწაფეებს, რომლებიც სწავლობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ერთწლიანი სწავლების ვადით საწარმოო სწავლების მიხედვით შვებულება ერთი თვის ხანგრძლივობით ეძლევათ.

2. იმ მოწაფეებს, რომლებიც სწავლობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ერთწლიანი სწავლების ვადით ცხელ საამქროებში მუშაობის დაწყებისათვის და ჯანმრთელობისათვის სხვა მავნე სამუშაოებზე — საწარმოო სწავლების მიხედვით — შვებულება 1½ (თვენახევრის) ხანგრძლივობით ეძლევათ.

3. იმ მოწაფეებს, რომლებიც სწავლობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ექვსთვიანი სწავლების ვადით. შვებულება ერთი თვის ხანგრძლივობით ეკუთვნით იმ პირობით, რომ ეს შვებულება მათ ეძლევათ სკოლაში სწავლების პერიოდში, ან ასეთის დამთავრებისა და საწარმოში გადასვლის შემდგომ, მაგრამ სწავლის დამთავრების დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა და ჩაითვლება ამა თუ იმ საკალენდარო წლის მორიგ შვებულებაში.

4. საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოწაფეები წლიურ და ექვსთვიანი სწავლების ვადით, ზაფხულის განმავლობაში თავისუფლდებიან თეორიულ სწავლებიდან ორი თვით საწარმოოდან გაუნთავისუფლებლად.

აღნიშნულს გაუწყებთ ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ს.პ.კ.ს. პ.-მგ. მდივანი **ნადირაშვილი**
შრომის დაცვის განყ. გამგე **მიკირტიჩიანი**
საქ. ალკკ ცეკას წარმ. სპკ-ში **კაკალაძე**.

ოქტომბერი 9. 10-45	31 ივლისიდან „საქ. ხინ" [illegible] [illegible] მხ. ტერ. ფილმი „ჩელიუსკინი" (არქტიკის გმირები)
დამკვრელი საზაფხ. 9 11	ახალი მხატვრ. ფილმი „ბიქორი" პროგრამის გარ ს. კ. ო. № 12
დამკვრელი საზამთ. 7-30. 8, 9-30. 11	
ითერი საზაფხ. 9 11	საზღვარ. არეთული ფილმი „ელლა დონნა"
ტემკი (საზაფხ.) 9. 11	[illegible] „ს სწრაფე და შეტევა" [illegible]
„26"-ის სახ. 9 11	მხატვრული ფილმი „მის-მენდი"
ლიუქსემბურგის სახელობის 7 9. 11	სათავგადასავლო ფილმი „მის-მენდი" 1-ლი სერია
„კომინტერნი" საზაფ. დიდუბე 11	მხატვრული კომედია „ხამი მილიონის პროცესი" [illegible] იგორ ილინსკი.

საქ. სახალხო მეურნეობის
აღრიცხვის ტფ. ტექნიკუმი
აწარმოებს 1934/35 სასწავლო წლისათვის მსმენელების მიღებას ქართულ და რუსულ სექტორში.

ტექნიკუმში მიიღებიან მშრომელები ორივე სქესისა 7-წლედ დამთავრებულნი ასაკით 15-დ 22 წლამდის მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით აკადემიურ წარჩინების მიხედვით და აგრეთვე საერთო საცხოვრებლით განცხადების მიღება იწარმოებს 20 აგვისტომდე ყოველ დღე, გარდა გამოსასვლელ დღეებისა, ტექნიკუმის კანცელარიაში (ლენინის ქ. № 53 საღამოს 6-დან 8 საათამდის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1) 7-წლედის დამთავრების მოწმობა 2) დაბადების, 3) სოციალურ მდგომარეობის, 4) პარტიულობის 5) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 6) ჯანმრთელობის და 7) ორი ფოტოგრაფიული დამოწმებული სურათი.

გამოცდები ჩატარდება 25 აგვისტოდან [illegible] პროგრამით საგნებში: ქართული ენა (ზეპირი და წერითი), მათემატიკა, (ალგებრა და გეომეტრია) საზოგადოებათმცოდნეობა და ფიზიკაში.

ტექნიკუმი ამზადებს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საშუალო კვალიფიკაციის ეკონომისტებს და აძლევს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებას.

ნ. 349 ტექნიკუმის დირექცია.

ამიერ-კავკასიის სახუროთმოძღვრო ტექნიკუმი
აცხადებს მიღებას 1-ელ კურსზე ქართულ, რუსულ და სომხურ სექტორებზე.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის შვიდწლედის დამთავრებული მსმენელები [illegible]-და 25 წლამდე.

ტექნიკუმში შემსვლელები ჩააბარებენ: საშინაო ენაში, მათემატიკაში ფიზიკაში, ქიმიაში საზოგადოებათმცოდნეობაში და ხატვაში. გამოცდები იწარმოებს ა/წ. 20-დან 25 აგვისტომდე ჩათვლით. განცხადებები მიიღება ა/წ. 15 აგვისტომდე ტექნიკუმის კანცელარიაში

მისამართი: ქ. ტფილისი, ვაკე, უნივერსიტეტის № 25 მე-2 სართული ა. კ. ს. ხუროთმოძღვრო ტექნიკუმი.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები დედნებში: 1. დაბადების მოწმობა, 2. სოციალური წარმოშობა, 3. ჯანმრთელობის მოწმობა 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი და 5. განათლების მოწმობა

მსმენელთა მიღება იწარმოებს აგრეთვე [illegible] კურსის მეორე [illegible] 6-დან 9 საათამდე ტექნიკუმის კანცელარიაში.

ნ. 371 ა/კ. სახუროთმოძღვრო ტექნიკუმის დირექცია.

უმაღლესში ტექნიკ. და მუშფაკ. 6, 7, 8 კლ. შესასვლელად
ვამზადებ
მათემატიკასა
და რუსულში და ვასწავლი უცოდინარებს
არითმეტიკას
და
ბუხჰალტერის მოანგარიშის თანამდებობისათვის.
[illegible] 25 [illegible] 8—12 ს. 4—8 ს.
4518 2—1

ტფილისის ქალაქის რკინის გზის (ტრამვაი)
ტრესტი
აცნობებს მოქალაქეებს, რომ ა.-კ. ფედერაციის მოედანზე ქალაქის რკინისგზის ლიანდაგის ხელახალი დაგების დამთავრების გამო, ა.-წ. 2 აგვისტოდან შემოღებულია ქალაქის რკინისგზის ვაგონების მარშრუტების შემდგომი მიმართულება

მარშრუტი № 1. ვაგზალი, ვაგზლის ქუჩა, პლეხანოვის პროსპ., ჟორესის ქუჩა, ელბაქიძის აღმართი, რუსთაველის პროსპ., ა.-კ. ფედერაციის მოედანი და უკან დაბრუნებით — კოოპერაციის ქუჩის (ყოფ. სომხის ბაზარი) მოსახვევით რუსთაველის პროსპ., ელბაქიძის დაღმართი, პლეხანოვის პროსპ., მუშტაიდის შესახვ. ვაგზალი.

მარშრუტი № 2. ვაგზალი, მუშტაიდის შესახვ., პლეხანოვის პროსპ., კარლ მარქსის მოედანი, ა.-კ. ფედერაციის მოედანი და უკან დაბრუნებით რუსთაველის პროსპ., ელბაქიძის დაღმართი, პლეხანოვის პროსპ., ვაგზლის ქუჩა, ვაგზალი.

მარშრუტი № 3. ვაგზალი, საბჭოთა ქუჩა, კარლ მარქსის მოედანი, ა.-კ. ფედერაციის მოედანი, რუსთაველის პროსპ., ვაკემდე უკან დაბრუნებით — ა.-კ. ფედერაციის მოედანი, კარლ მარქსის მოედანი, პლეხანოვის პროსპ., მუშტაიდის შესახვ., ვაგზალი.

მარშრუტი № 4. ვაგზალი, ვაგზლის ქუჩა პლეხანოვის პროსპ., კარლ. მარქსის მოედანი, ა.-კ. ფედერაციის მოედანი, რუსთაველის პროსპ., ვაკე და უკან დაბრუნებით— ა.-კ. ფედერაციის მოედანი, კარლ მარქსის მოედანი, საბჭოთა ქუჩა, ვაგზალი.

მარშრუტი Д. ვაგზალი მუშტაიდის შესახვ., პლეხანოვის პროსპ., ელბაქიძის აღმართი, რუსთაველის პროსპ., ა.-კ. ფედერაციის მოედანი და უკან დაბრუნებით — კარლ მარქსის მოედანი, პლეხანოვის პროსპ., ვაგზლის ქუჩა, ვაგზალი.

მარშრუტი № 19. ვაგზალი, მუშტაიდის შესახვ., პლეხანოვის პროსპ., ელბაქიძის აღმართი და უკან დაბრუნებით — პლეხანოვის პროსპ., ვაგზლის ქუჩა, ვაგზალი.

მარშრუტი № 18. ზოოპარკი, რუსთაველის პროსპ., ა.-კ. ფედერაციის მოედანი, მოსახვევი კოოპერაციის ქუჩასთან და უკან დაბრუნებით — ზოოპარკი.

2—2 ნ 36 ქალაქის რკ.-გზის ტრესტის დირექტორი თავდგირიძე.

სასამართლოს აღმასრულებელი დ. ჩ ქოვანი ამით აცხადებს, რომ 1934 წ. 4 აგვისტოს დღის 11 საათზე ქ. ტფილისში ჯულაშვილის ქუჩაზე № 13 სახლში
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის
წითელი ჯვრის მეორე საავადმყოფოს ქონებას: [illegible] შეფასებულია 186 მან. 31 კაპ. [illegible] ტერმინოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად შრომის სასამართლოს [illegible] 1934 წ. 28 აპრილის № 2/1030-ით გაცემული [illegible] ფურცლისა.
4-80

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შემოსასვლელად
განცხადებათა მიღება
გრძელდება 10 ამ სტომდე.
მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 25 აგვისტომდე.
ნ. 372 დირექცია

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზეგალოგიის ფაკულტეტის
მე-III კურსის სტუდენტთა საყურადღებოდ
მე-III კურსის სტუდენტები, რომლებსაც სურვილი აქვთ მიიღონ მონაწილეობა ექსპედიციაში მოვალენი არიან გამოცხადდნენ ინსტიტუტში 29 აგვისტოს წინააღმდეგ შემთხვევაში გზა და გზა მეხვედრილი [illegible]
459 ინსტიტუტის დირექცია.

ზემდგომ ორგანოების დადგენილებით
გაუქმდა კოლხიდმშენის მუშათა დახურული კოოპერატივი, რომლის ნაცვლად არსდება მუშათა მომარაგების განყოფილება („ორ ი")
ყოველგვარი კრეტე ხიერი აღნიშნულ ორგანიზაციის მიმართ [illegible] 10 აგვისტომდე ფოთი მახარაძის ქ.
472 ლიკვიდკომი.

გულდათუთქული შვილები: ნინა, ლევან, ქეთო, თამარ ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი დედის ალექსანდრა ვლადიმ. ას. ქორქაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება აბაშიდან 4 აგვისტოს სად. რიონზე, დასაფლავება გეგუთში 12 ს. ქვ. 4604

საქკვებვაჭრობის ყველა პურის და გასტრონომიულ მაღაზიებში იყიდება
ფრანგული ბულკები
და ბარანკები.
4546

დაიკარგა [illegible] 4530

დაიკარგა [illegible] გაბრიელის-ძე [illegible] 459

დაიკარგა სარეწაო კავშირის [illegible] 4601

განსახკომის
პირველი მოწრავლეთა სრული საშუალო კოლ[illegible]
აცხადებს 1934 35 სასწავლო წლის თვის მსმენელების მიღებას. მიღება იწარმოებს, როგორც ქართულ, ისე რუსულ სექტორზე მე-8 9, 10 კლასში
განცხადებები [illegible] 25 აგვისტომდე საღ. 6 საათიდან 9 საათამდე. [illegible] მისამართი: ფ. მახარაძის ქ. № 15 (მე-22 არა სრული საშუალო სკოლის ბინაზე.
455ა დირექცია.

დამწუხრებულნი: ცოლი ქეთო, შვილი გივი, მამა იოსები, დები: ანიჩქა ქმარშვილით, საშა და მარიამი, ძმები: ვალიკო და გიორგი ცოლშვილით იუწყებიან ძვირფასს ინჟინერ
გრიშა იოსების-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 აგვისტოს, ქ. ხონში. ქვ. 4588

„ტექნიკა და შრომა"-ს სტამბის მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სტამბის ყოფ. პარტუჯრედის პ.-მგ. მდივნის
კლიმენტი მიხეილის-ძე ფოცხვერიას
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 2 აგვისტოს 5 ს. გორის ქ. № 28. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ქვ. 4600

ორმაგად დამწუხრებულნი: დედა პიოვანე, მამა ვასილი, დები ქეთო, მარგალიტა, ძმა მიხეილი, რძალი ნუცა, იუწყებიან საყვარელ
ირაკლი (მიტუშა) ლალიძის
გარდაცვალებას, გამოსვენება რკ. გზის საავადმყოფოდან 4 აგვისტოს 5 ს. დასაფლავება სოფ. ობჩაში 5 აგვისტოს ქვ. 4605

დამწუხრებულნი მშობლები: მარო, ალექსანდრე, და ლუბა, ძმა ბიქტორი, დეიდა პელაგია ქმარშვილით, ბიძა ილია ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას
კოლია ალექსანდრეს-ძე ნასარიძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 2 აგვისტოს 5 ს. ყ. არამიანცის საავადმყოფოდან ავლაბრის სასაფლაოზე. ქვ. 4608

თავზარდაცემული მეუღლე ლუბა მშობლებით: ტერეზი, პავლე, ცოლისძმა კალენიკე, დებით: პეპელა, ქეთო, დარეჯანი ჯიქიები. ანდრო ჯინჭარაძე იუწყებიან ძვირფასი
კუკური კუპრაძის
უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი 6 აგვისტოს ნატანები (სამხვთ [illegible]) ქვ. [illegible]

დამწუხრებულნი: რაჟდენ გახოკიძე ცოლით ელენეთი, შვილებით: ვახტანგი, ანდრო იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ბიძა
პორფილე სიმონის-ძე გახოკიძე.
დაკრძალვა ქ. გაგრაში. ქვ. 4606

ტფილისის სადგურის ბუფეტის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ბუფეტის გამგის რაჟდენ გახოკიძის ბიძის
პორფილე სიმონის ძე გახოკიძის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. გაგრაში. ქვ. 4607

გაუბედურებული ცოლი ელენე, შვილები სერგო და თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი
ბიქტორ იოსების-ძე ლალიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 2 აგვისტოს 5 საათ. რეუტოვის ქ. № 4, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 4596

მეგობრები: მარუსია, ვანიჩქა, ნადია ბაქრაძეები, კ. ჟღენტი, ს. ზერაკიძე, ა. კალანდაძე, ბ. მამალაძე, მ. გოგვაძე, გ. ჯიქია, ბიძა იორდანე ჟღენტი უცხადებენ თანაგრძნობას ლუბა ჯიქიას მისი მეუღლის
კუკური სილოვანის-ძე კუპრაძის
გარდაცვალების გამო. ქვ. 4597

ცუცუ ივანეს ასული ლოლუა შვილებით: არეთა, ალექსი და ლევანი ოჯახობით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათი საყვარელი სიძის
გრიგოლ იოსების-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 აგვისტოს ქ. ხონში. ქვ. 4602.

„საქკვებვაჭრობის" თანამშრომლები: შ. ღლონტი, პ. ჩხიკვაძე, ვ. ბოკუჩავა, შ. ქითაია, გ. მასხარაშვილი, მ. ტატევოსოვი, ვ. ბოჭორიშვილი, ვ. ჩხენკელი, ბუზუკაშვილი და ი. ბოძაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის გიორგის ძმის
ინჟ. გრიშა იოსების-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში. 2 აგვისტოს. ქვ. 4594

დამწუხრებული ამხანაგები: შალვა და ილია ჩეკურიშვილები, სპირიდონ და ალექსი გოგაძე, თვარელიშვილი იოსებ, ბედიანიძე იოსებ, წიკლაური მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას
ამხ. ალექსანდრე კობერიძის
უდროოდ [illegible] გამო. ანგ. 473

ნესტორ იოსელიანი შვილებით: კუკუშკა, ელენე, თამარი, ლევანი და ჭაჭო, რძლები—კაცუ და ოლია და შვილის-შვილებით იუწყებიან საყვარელი ცოლისძმის და ბიძის
პატკუ (ანტიფას) თოფურიძის
გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. ქვ. 4603

„გრუზპოგრუზის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მთავარ ბუხჰალტრის ილია ლალიძის ძმისშვილის
ირაკლი ვასილის ძე ლალიძის
უდროოდ დაკარგვის გამო. ქვ. 4609

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ჩ—271